ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 221 (20967) ◆ ოთხშაბათი, 26 სექტემბერი, 1990 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

არჩევნის ჟამი

საკავშირო საპარლამენტო კორესპონდენტები გვაცნობებენ

24 სექტემბერს პალატების გაერთიანებულ სხდომაზე დეპუტატები მიუბრუნდნენ იმ დადგენილებების პროექტებს, რომლებსაც განიხილავდნენ, მაგრამ არ დაუმტკიცებიათ გასულ ხუთშაბათს, რადგან კვორუმი ვერ შეიკრიბა.

თითქოს კონსენსუსს ძალიან რამდენიმე წუთში მიაღწიეს. ეკონომიკური რეფორმების საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის ვ. მ. ვოლოგჟინის მოკლე კომენტარი ახალ პროექტზე; წინანდელ ტექსტში შეტანილია მნიშვნელოვანი კორექტივები. ახლა სათაურიც სულ სხვა არის — „სახალხო მეურნეობის სტაბილიზაციის გადაუდებელ ღონისძიებათა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროგრამის „ძვირფასი შეხსენებანი“. განსაზღვრება „რეგულირებადი“, მრავალი პარლამენტარის სასიამოვნოდ უნდა ითქვას, ამოღებულია. და რაც მთავარია, პარლამენტის კომიტეტებისა და კომისიების თავმჯდომარეებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ პრინციპულად დაახლოებულია ბაზარზე გადასვლის სტრატეგიები პრეზიდენტისა და მთავრობის პროექტებში.

კენჭისყრის შედეგი — უზენაესი საბჭოს სამასზე მეტი წევრი მხარს უჭერს დადგენილების პროექტის მიღებას. შემდეგ კი... ოთხჯერ უყარეს კენჭი დოკუმენტის პირველ პუნქტს. გ. ხ. პოპოვმა, ს. მ. რიაბჩენკომ, ა.ა. სობჩაკმა, ვ. ი. სამარინმა, ა. გ. ჟურავლევმა და სხვა დეპუტატებმა გაილაშქრეს რეზოლუციის წინააღმდეგ, რომელიც, მათი თქმით, საკავშირო პარლამენტს აბრუნებს დისკუსიის საწყისი პუნქტისაკენ — პრეზიდენტისა და მთავრობის ვარიანტების სიმბიოზის შესაძლებლობისაკენ. როგორც ორატორებმა თქვეს, დაუშვებელია ზოგადი და კომპრომისული ფორმულირებით არარად ვაქციოთ სახელმწიფოს მეთაურისა და რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მორიგება, და მაშასადამე, სამოქალაქო თანხმობის, საზოგადოების კონსოლიდაციის პერსპექტივა. შეიტანეს შესწორებები, რომელთა აზრი ის არის, რომ ზუსტად განსაზღვრონ არჩევანი, უპირატესობა მიანიჭონ პრეზიდენტის პროგრამას და „გაითვალისწინონ“ მინისტრთა საბჭოს ფერსია. ყველაზე პრინციპული საკითხის — დოკუმენტის დებულების კორექტირების ყველა ამ ცდამ მარცხი განიცადა — შესწორებებს ან უარყოფდნენ, ან მათ ვერ მიიღეს კვორუმის საჭირო უმრავლესობა.

სხდომა განახლდა სსრ კავშირის პრეზიდენტის გამოსვლით, რომელმაც ილაპარაკა ამ შემთანხმებელი მუშაობის შედეგებზე. შეახსენა რა დეპუტატებს, რომ სესიაზე გააკრიტიკეს ყველა პროექტი, მათ შორის პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილიც, მან განაცხადა, რომ არც ერთი ვარიანტი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საბოლოო ვარიანტად. ამავე დროს ყოველ პროექტში არის ძლიერი მხარეები და დაუშვებელია მათი უგულებელყოფა. ამასთან დაკავშირებით შემთანხმებელი კომისიის ერთ-ერთი შესწორება ასახავს სწორედ იმ ფაქტს, რომ პროგრამის საბოლოო ფორმირება წარიმართება პრეზიდენტის ხელმძღვანელობით სესიაზე ყველა განხილული პროექტის ბაზაზე. მეორე მაკორექტირებელი მომენტია ჩანაწერი იმის შესახებ, რომ პროგრამის რეალიზაციის დროს მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს კავშირისა და ფედერაციის სუბიექტების უფლებამოსილებანი.

ეს შესწორებები დეპუტატებმა მოიწონეს, გადაწყდა აგრეთვე დადგენილებას დაემატოს დებულება იმის შესახებ, რომ დაუყოვნებლივ შეუდგნენ ქვეყნის ეკონომიკის ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებათა პროგრამის განხორციელებას.

24 სექტემბერს საღამოს სხდომაზე სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ განიხილა საბოლოოდ დამუშავებული პროექტი დადგენილებისა „ქვეყნის ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სტაბილიზაციის დამატებითს ღონისძიებათა შესახებ“. პროექტში საქმე ეხება, უწინარეს ყოვლისა, პარლამენტის საკანონმდებლო უფლებამოსილებათა ნაწილის გადაცემას სსრ კავშირის პრეზიდენტისათვის, რათა მას შეეძლოს ოპერატიულად გამოსცეს ბაზარზე გადასვლის პერიოდში ნორმატიული ხასიათის ბრძანებულებანი ქვეყნის მმართველობის სისტემისა და მართლწესრიგის განსამტკიცებლად. ეს პერიოდი შემოიფარგლება 1992 წლის 31 მარტის თარიღით,

მწვავე დისკუსიის შემდეგ კანონის სახით გაფორმებული დოკუმენტი მიღებულ იქნა უზენაესი საბჭოს წევრთა მნიშვნელოვანი უმრავლესობით.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის

კანონი

ქვეყნის ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სტაბილიზაციის დამატებით ღონისძიებათა შესახებ

ითვალისწინებს რა სოციალურ-პოლიტიკური ვითარების სირთულეს, კრიზისული სიტუაციიდან საზოგადოების გამოყვანის, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის უზრუნველყოფის, ქვეყნის მართვის სისტემისა და მართლწესრიგის განმტკიცების საგანგებო ღონისძიებათა საჭიროებას, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. ქვეყანაში ვითარების სტაბილიზაციის მიზნით სსრ კავშირის პრეზიდენტს 1992 წლის 31 მარტამდე პერიოდისთვის მიენიჭოს უფლება ოპერატიულად გამოსცემდეს სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად ნორმატიული ხასიათის ბრძანებულებებს და იძლეოდეს დავალებებს საკუთრებითი ურთიერთობის, სახალხო მეურნეობის მართვის ორგანიზაციის, სბიუჯეტო-საფინანსო სისტემის, შრომის ანაზღაურებისა და ფასწარმოქმნის, მართლწესრიგის განმტკიცების საკითხებზე, თუ სსრ კავშირის უზენაესი საბჭო საჭიროდ არ ცნობს სხვა წესების შემოღებას ან არ უარჩევს სსრ კავშირის პრეზიდენტს შეცვალოს ან გააუქმოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

2. მიენიჭოს სსრ კავშირის პრეზიდენტს უფლება შექმნის ორგანოები და სხვა სახელმწიფო სტრუქტურები საერთო-საკავშირო ბაზრის ფორმირების დაჩქარებისა და ამ მიზნით მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ოკრუგების ურთიერთმომქმედების უზრუნველყოფისათვის.

3. მოეწოდოს სახალხო დეპუტატთა ყველა საბჭოს, პოლიტიკურ პარტიებს, პროფესიულ კავშირებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოძრაობებს მხარი დაუჭირონ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს, სსრ კავშირის პრეზიდენტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ძალისხმევას, რათა შენარჩუნებული იყოს სამოქალაქო მშვიდობა და სიმშვიდე, დამყარდეს საზოგადოებრივი წესრიგი და სახელმწიფო დისციპლინა, განმტკიცდეს საწარმოთა სამეურნეო ურთიერთობა და მუშაობის ნორმალური რიტმი, თავიდან იქნეს აცილებული გაფიცვები და სხვა სოციალური კონფლიქტები, განმტკიცდეს ყველა ერისა და ეროვნული ფორმირების თანამშრომლობა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტი

მ. გორბაჩოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1990 წლის 24 სექტემბერი.

კონტაქტები, თანამშრომლობა

კურსი — ფანფიბარზე

კაპიტანი სტეფანე კოლოშვილი, რომელიც თავის ეკიპაჟთან ერთად ავიდა ფოთის მორიგი წყალქვეშაფრთიანი ხომალდის „კოლხეთის“ გემბანზე, დაადგა შორეული ზანზიბარის კუნძულის კურსს.

ასე განახორციელა კონკრეტული საქმეებით ხელშეკრულება, ფოთის გემთშენკეთებელ-გემთშენებელმა ქარხანამ რომ დაუდო საბჭოთა კავშირშვეიცარიის საწარმო „ინმეტს“ და ტანზანიის ფირმა „ალკამინს“, რომლებმაც ერთობლივი საწარმო შექმნეს ზანზიბარის კუნძულზე. იგი შეუდგება მგზავრთა გადაყვანასა და ტვირთის გადატანას ზანზიბარსა და ტანზანიის დედაქალაქ დარ-ეს-სალამს შორის.

ამ ხაზზე იმუშავებს ორი „კოლხეთი“ ფოთის ეკიპაჟებით.

უკვე მეოთხედ ხაუკუნეზე მეტია ზღვებსა და ოკეანეებს ხერავენ ფოთის „კომეტები“ და „კოლხეთები“ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ალმებით. პრესტიჟულმა საერთაშორისო პრემიამ „ოქროს მერკურიმ“ საშუალება მისცა ქართველ გემთმშენებლებს დამოუკიდებლად გასულიყვნენ საერთაშორისო ბაზარზე უშუალოდ დიმეყარებინათ კონტაქტები საზღვარგარეთის სავაჭრო პარტნიორებთან.

სურათებზე: „კოლხეთის“ კაპიტანი სტეფანე კოლოშვილი (მარჯვნივ) და უფროსი მექანიკოსი ალექსანდრე იარემენკო. კურსს იღებენ ზანზიბარისაკენ; „კოლხეთი“ საზღვარგარეთ გამგზავრების წინ.

ირაკლი ბოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლისათვის

ვიღაცამ იოხუნჯა, ახლა ეკონომიკურ კრიზისსა და საბაზრო ურთიერთობაზე ზარმაცის გარდა ყველა წერს და ლაპარაკობსო. რას იზამ, საკითხი აქტუალურია, ყოფნა-არყოფნის უკავშირდება, მარტო ჩვენ კი არა, მსოფლიოს უფრადღების ცენტრშია. ეს გასწავთ საინფორმაციო ხაზუალებების წაყვანა, უმთავრესი თემა. მართალია, ბოლო ხანებში, ხმარხეთის უერეში შექმნილმა ურთულესმა ვითარებამ წამოიწია წინ, მაგრამ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საკითხი მაინც ვერ დაჩრდილა.

სწავლული ეკონომისტები, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები ქვეყნის შიგნე მდგომარეობიდან გამოყვანასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტაზე საკმაოდ გულმოდგინედ მსჯელობენ, თავიანთ შეხედულებებსა და ოსახარებებს გვთავაზობენ, თუმცა წინასწარ ბევრი რამის განვრეტა-განსაზღვრა არ არის ადვილი. ალბათ, თვით საქმის მხალლობა, ცხოვრება უმრავ კორექტივს შეიტანს ახალ საეროვნო ურთიერთობაში. დღეს კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გრძელდება კამათი იმის თაობაზე, თუ რა გზებით მივაღწიოთ სასურველ შედეგს, რა ვიღონოთ იმისათვის, რომ კატასტროფის წინაშე არ აღმოვჩნდეთ.

სიტყვა რესპუბლიკებს ეკუთვნის

სუფევს აზრთა დიდი სხვადასხვაობა. ეკონომისტთა ერთი ჯგუფი გამოსავალს ფულის რეფორმაში ხედავს. აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს სამნიშნა ვალმა რეკორდულ ზღვარს — 400 მილიარდ მანეთს, ხოლო ბიუჯეტის დეფიციტმა — 120 მილიარდ მანეთს მიაღწია. ამას კი შედეგად სამომხმარებლო ბაზრის განადგურება შეიძლება მოჰყვეს. ამიტომ მისი ღრმა რწმენით, ისეთი სანახევრო ზომები, როგორიც არის საშემოსავლო გადასახადის ზრდა და ხელფასის მომატება, საწინააღმდეგო შედეგს იძლევა: მცირდება წარმოების მოცულობა და, როგორც ჩანს, მოსახლეობის დაბეგვრის ახალი სისტემაც ბევრს ვერაფერს მოგვცემს. ეკონომიკური აგადყოფობის საკურნალოდ თერაპია ვეღარ გამოდგება და ამიტომ ქირურგიული ოპერაცია — ფულის რეფორმაა საჭირო.

მეორე ჯგუფის მოსაზრება ალტერნატიულია. პოლიტიკური თვალსაზრისით, ამტკიცებენ ამ ჯგუფის წარმომადგენლები, ფულის რეფორმა სოციალური პრობლემების გადაწყვეტის ცნობილ მეთოდებს — სასურსათო გაწერასა და გაკულაკების გვაგონებს.

ჰოდა, ღირს კი, რომ ადამიანებს წარსულის არასასიამოვნო მოგონებები გაუღვიძო? მათი აზრით, ფულის რეფორმის შემთხვევაში ხმარებიდან, დიდი-დიდი, შეიძლება ორასი მილიარდი მანეთი ამოიღოთ და ამისათვის მისი განხორციელება არ ღირს, ბაზრის გაწონასწორება მაინც ვერ მივაღწევთ. მარტო ზარშან მოსახლეობის შემოსავალი 64 მილიარდი მანეთით გაიზარდა და არის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ეს მაჩვენებელი წლიულ კიდევ უფრო მოიმატებს. მაშინ, ორი წლის შემდეგ, კვლავ მოგვიწევს რეფორმის ჩატარება და ეს დაუშვებელია: რეფორმა ძვირადღირებული ფუფუნებაა.

მომდინარე წლის აგვისტოს დაბლევს მიზელ გორბაჩოვსა საბჭოთა და უცხოელ ეკონომისტებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ ეკონომიკის სტაბილიზაციისათვის უნდა განვახორციელოთ გადაუდებელი კომპლექსური ღონისძიებანი. საჭიროა გადაკეტოს ფულადი შემოსავლის სწრაფი ზრდის არხები, მაგრამ ამას საწარმოო და ეკონომიკური აქტივობის შენელების კი არა, შემოსავლის საბოლოო უფდეგებთან შესაბამისობის გზით უნდა მივაღწიოთ. ეკონომიკის სტაბილიზაციის ეტაპზე საჭიროდ არის მინიეული აგრეთვე სამეურნეო ურთიერთკავშირების შენარჩუნება. ამ ეტაპზე ადმინისტრაციულ მეთოდებსაც გამოიყენებენ. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით სსრ კავშირის პრეზიდენტმა დასძინა, რომ ასეთმა ვითარებამ არ უნდა გაგვაკვირვოს. სხვადასხვა ქვეყნები, როცა ისინი მსგავს სიტუაციაში იყვნენ, ადმინისტრაციული მიდგომებითაც სარგებლობდნენო. სტაბილიზაციის გარეშე ბაზარზე უცბად ვერ გადახტები. თუმცა, ეს არც იმას ნიშნავს, რომ სტაბილიზაციის ზომების მიღებით ერთი ხელის დაკვრით გადავწყვეტთ ყველა ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემას. არა, ამით მხოლოდ უკეთესად მოვამზადებთ ეკონომიკას იმისათვის, რომ უფრო გაბედულად წავიწიოთ წინ ბაზრისაკენ. სტაბილიზაციისათვის გამიზნული ღონისძიების განხორციელება საშუალებას მოგვცემს თანდათან დავაკავშიროთ საბაზრო ელემენტები, შევქმნათ საბაზრო ინფრასტრუქტურა და ვაკონტროლოთ ის, თუ რომელ პოზიციებს მივანიჭოთ „თავისუფლება“. ეს, უწინარესად, პროექტების ფასებს ეხება, სოციალური დაცულობა საბაზრო ურთიერთობის ერთ-ერთ მთავარ საკითხად რჩება. საჭმის მსვლელობის კვალობაზე საბაზრო გარემოც გაფართოვდება. ასე რომ, მომდინარე წლის დამთავრებამდე დარჩენილი დრო და მომავალი წლის პირველი სამი თვე ეკონომიკის სტაბილიზაციას მოხმარდება.

ეს, რაც შეეხება სპეციალისტთა ცალკეული ჯგუფებისა და პიროვნებების მოსაზრებებს, მაგრამ როგორ წარიმართა საქმე ამ საკითხთან დაკავშირებით სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიმდინარე სესიაზე? მიწასთან გაასწორეს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა სესიამ უკვე მიიღო საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის პროგრამა, რომელიც აკადემიკოს ს. შატალინის ჯგუფმა წამოაყენა.

ამ წერილში სრულიადაც არ ვაპირებთ შევადასოთ, და მით უმეტეს, ვაძაგოთ როგორც პირველი, ისე მეორე პროგრამა. ეს სპეციალისტების საქმეა, ამაზე, ალბათ, თავიანთ გადაწყვეტ სიტყვას რესპუბლიკები იტყვიან. გარდა ამისა, ვინმეს ძაგებით ვერ გადხდებით ორიგინალურები და ვერც ვერავის გავაკვირვებთ. ღღეს ლაკი ბატონო, მაგრამ ადრე დამკვიდრებული კავშირები რამდენიმე წელიწადია თანდათანობით ილება. განვლილ რვა თვეში მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულება ვერ შეასრულა საქართველო ტერიტორიაზე განლაგებულმა 278 სამრეწველო საწარმომ ე. ი. მათი საერთო რაოდენობის 32,4 პროცენტმა და შემკვეთს დააკლდა 332 მილიონი მანეთის პროდუქცია. ზარშან, ამავე პერიოდში, სახელშეკრულებო დისციპლინა დაარღვია გაცილებით მეტმა ადამიანმა — 176 საწარმომ, ე. ი. 22,1 პროცენტმა. მიმდინარე წლის იანვარ-ივლისშიც უკეთ გამოვიყურებოდით, ვიდრე იანვარ-აგვისტოში.

განსაკუთრებით დაგალებული არიან მომხმარებლის წინაშე მსუბუქი მრეწველობის, საქაგრომრეწვის საწარმოები, საკვებირო დაქვემდებარების დიდი სამრეწველო ობიექტები — „ელმავალშენებელი“ და „საქქანახშირის“ საწარმოო გაერთიანებები, ცხინვალის მინაქარსადენის ქარხანა და ზოგიერთი სხვა.

მოხერხდება მდგომარეობის შედარებითი სტაბილიზაცია მომდინარე წლის დამთავრებამდე დარჩენილ დროში და მომავალი წლის პირველ კვარტალში? ნაწილობრივ მოხერხდება, თუ აღდგა და განმტკიცდა ადრე დამყარებული ურთიერთობანი, მაგრამ ეს არ იქნება „მოდური“ ავადმყოფობაა და ამით თავის გამოჩენა არ გვსურს. ვნახოთ, რას იტყვიან რესპუბლიკები.

მიუხედავად პროგრამების ალტერნატიულობისა, ორივე მათგანში, აგრეთვე პრეზიდენტის პროგრამაში გატარებული აზრი იმის შესახებ, რომ საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლას წინ უნდა უძღოდეს ეკონომიკის სტაბილიზაცია. სტაბილიზაციისათვის კი, ნათქვამია როგორც ერთ, ისე მეორე პროგრამაში, საჭიროა მომდინარე წლის დამლევამდე და გაისადე ზეფინარჩუნოთ დამკვიდრებული სამეურნეო კავშირები.

ბა ადვილი,ამას დასჭირდება უდიდესი ძალისხმევა, საგანგებოდ ორგანიზებული ბრძოლა.

მთავრობისეულ პროგრამაში შეფასებულია გამოთქმული იმის გამო, რომ კატასტროფულად მცირდება წარმოების მოცულობა და ეს, ცხადია,ისევ და ისევ სამეურნეო ურთიერთობის რღვევას უკავშირდება. ჩვენი რესპუბლიკის საწარმოები ვერ იღებენ სახელშეკრულებო ვალდებულებით გათვალისწინებულ მრავალი სახეობის ნედლეულს, მასალებს, საწვავს. მოცულობის შემცირება შეიმჩნევა სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა კომპლექსში. გასულ რვა თვეში წარმოების მოცულობა შემცირა საწარმოთა საერთო რაოდენობის 53,8 პროცენტმა, როგორც ხედავთ, ნახევარზე მნიშვნელოვნად დეტმა. ფულადი გზამონაცულებით ეს დანაკარგები 740 მილიონ მანეთზე მეტია. იმ ოთხმოცი სახეობის უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქციიდან, რომლებსაც რესპუბლიკის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი ოპერატიულად აღრიცხავს, რვა თვის განმავლობაში ორმოცდაათის მიხედვით ვერ შესრულდა. დამზადდა გათვალისწინებულზე ნაკლები ფოლადი, მზა ნაგლინი, მექანიზაცია-ავტომატიზაციისათვის საჭირო ავლადი ფენის მეცრე სომძლაფის ელექტროძრავები, მაგისტრალური ელმავლები, სატვირთო ავტომობილები, მისაბმელები და ნახევრადმისაბმელები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, სინთეზური ამოაკი, ქიმიური ბოჭკო, მუყაო, ცემენტი, შიფერი და სხვა.

ვაპრობასთან და სოციალურ სფეროსთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს ჩვენ ცალკე მიმოვიხილავთ. ღღეს კი ერთხელ კიდევ გვინდა შევახსენოთ მკითხველს, რომ ეკონომიკის მდგომარეობის შედარებითი სტაბილიზაციისათვის სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიაზე გამოსულ დეპუტატებსაც აუცილებლად მიაჩნიათ სამეურნეო კავშირების შენარჩუნება. მათი დიდი ნაწილი თვლის, რომ ცხოვრების ღღევანდელ ეტაპზე წლის დამლეგამდე და გაისადე სხვა გამოსავალი არ არის. ზოგიერთი მათგანი ამ ურთიერთობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის საგანგებო ზომების მიღებასაც „ი მოითხოვს.

ზოთა ამაშუკელი.

ქალაქად პროდუქტების სიუხვისათვის

მთავარი რეზერვია სოფელთან თანამშრომლობა

ღღეს მიკროსკოპული ხედვა სულაც არ სჭირდება იმ ფაქტის კონსტატირებას, რომ ქვეყანასა და რესპუბლიკაში სერიოზული სირთულეებია შექმნილი სასურსათო პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფაში, მომლილია ცენტრალიზებული მომარაგება, ქალაქად სასურსათო მოგაზიების დახლები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, დაცარიელებულია, მუშა და ინტელიგენტი თითქმის მთლიანად საკოლმეურნეო ბაზარზეა დამოკიდებული. ბაზარში კი... ქალაქელთა ლექსიკონში კარგახანია დამკვიდრდა გამოთქმები: „ბაზარს ცეცხლი ეკიდება“, „როგორ გაჭირდა ცხოვრება“, „ხვალ რა იქნება, ის იკითხე“ და ა. შ. რაღა დასაფარავია, შიშმა შეიპყრო საზოგადოება. შიშს დიდი თვალები აქვს და პოლიტიკური გართულებების პირობებში კიდევ უფრო აძლიერებს ადამიანებში უიმედობის უსიამოვნებებს.

ძნელი მისახვედრი როდია მიზეზთა წყება, რომელმაც წარმოშვა კრიზისული შედეგები ეკონომიკაში. მთელ რიგ სხვა დიდმნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად, ამ მწარე სინამდვილის წინაშე დაგვაყენა წლების განმავლობაში ქალაქსა და სოფელს შორის პარტნიორული თანამშრომლობის მოშლამ, აგრარულ სექტორებში ეკონომიკური ურთიერთობების მოუწესრიგებლობით გამოწვეულმა მიგრაციამ, უყაირათობამ. სოფლად მიწას დაეკარგა მზრუნველი ხელი. სამაგიეროდ, ქალაქი უსამეველოდ გაიზარდა.

არის ჩიხიდან გამოსასვლელი გზების ძიება სამთავრობო ორგანოებში, ასეთ დროს ბევრი რამ დიდად არის დამოკიდებული ადგილობრივი ხელისუფლებაზე, მის უნარსა და გამბედაობაზე. ყველა მოსალოდნელობისათვის ცენტრის მოიმედეობამ რაც მოგვეცა, ნათლად ვხედავთ, ვგრძნობთ და ძმიმედ განვიცდით კიდეც. ადგილებზე, ქალაქებში საკუთარი რეზერვების მოგნებამ თუ უშველა გაჭირვებულ მდგომარეობას, თორემ სხვაგვარად პერსპექტივის სინათლე არ სჩანს. ასეთ გართულებულ სიტუაციაში, ეფიქრობთ, საყურადღებოა ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს არაორდინარული ნაბიჯები, რომლებიც მან გადადგა ქალაქის მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მომარაგების, მათი გადამუშავებისა და ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის. დაიწყო იმით, რომ აღმასრულებელ კომიტეტთან შექმნა სპეციალური განყოფილება, რომელსაც მიანიჭა იურიდიული უფლებები და დაიკისრა ზემოთაღნიშნული მიმართულებებით მუშაობის კოორდინაციის ფუნქცია.

ეს არ არის დიდი ხნის ამბავი. სულ ხუთიოდე თვის წინათ დაიწყო ამ განყოფილების ბიოგრაფია.

— ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ქალაქისა და მეზობლად განლაგებული რაიონების თანამშრომლობის კოორდინაცია, — გვეუბნება განყოფილების გამგე, მეცნიერებათა კანდიდატი ოლიმ ბაკურაძე, — არასტანდარტული და ოპტიმალური გზების ძიება, რომელიც სოფლის ორგანიზაციებს, მათს მშრომელებს დაინტერესებს კვების პროდუქტებით ქალაქის მოსახლეობის უკეთ მომარაგებისათვის.

კეთილშობილური მიზანი, ბუნებრივია, მოწონებას იმსახურებს, მაგრამ რამდენი კარგი მიზანი განწირულა, თვი ჭერ მოგვიბამს საქმისათვის. ქუთაისის საქალაქო საბჭომ შეძლო, დროის ამ მცირე მონაკვეთშიც ეთქვა სათქვენელი. საბჭოს ხელმძღვანელებმა პირადი კონტაქტები დაამყარეს წყალტუბოს ზონის პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელებთან, მისი 14 სოფლის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შრომით კოლეტივებთან, აბაშის, ვანის, ხაშურის, გორის, მარნეულის, გარდაბნის და მთელ რიგ სხვა რაიონებთან.

ჯერ-ჯერობით სიტყვიერი შეთანხმებებია, ხელშეკრულებები მომავალი წლიდან შევა ძალაში. მაგრამ პირველმა ურთიერთობებმა უკვე მოიტანა ურთიერთსასარგებლო შედეგები. ზოგიერთის შესახებ: წყალტუბოს რაიონი სისტემატურად ამარაგებს ქალაქის საავიარო ქსელს ბოსტნეულით, თავიანთი წონადი წვლილი ჩადეს ამ კეთილმორალურ საქმეში აბაშის, მარტვილის, ვანის, გორის, ხაშურის, მარნეულის, გარდაბნის, გურჯაანის და ყვარლის რაიონებმა.

აბაშის რაიონიდან აპრილის ბოლოს 500 ტონამდე საადრეო კომბოსტოს შემოტანამ ქალაქის საკოლმეურნეო ბაზრებში მისი ფასი 3 მანეთიდან 1 მანეთამდე დასცა, საგრძნობლად შემცირდა აგრეთვე ხახვისა და პამიდორის გასასყიდი ფასები. ქალაქის საკონსერვო ქარხნის მომარაგებაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანის კარგი საშუალება შექმნა ხაშურის რაიონმა, რომელმაც აქ გადასამუშავებლად შემოიტანა 1000 ტონა პამიდორი. პრაქტიკულად, ქალაქის საკაჭრო ქსელისათვის ხაშურიდან შეუწყლუდავად, მოთხოვნის მიხედვით შემოდის ჭარხალი, ქლიავი, შაქარიც კი, გორის რაიონიდან — ყველა სახის ხილი, კახეთის რაიონებიდან — საზამთრო, უკვე დაიწყო აგრეთვე სუფრის ყურძნის შემოტანა.

მეზობელ და შედარებით შორეულ რაიონებთან კონტაქტებმა მარტო ამ ხუთ თვეში სავაჭრო ქსელში გასაყიდად და სასაწყობო მეურნეობებში ზამთრის მარაგის შესაქმნელად ქუთაისს შემატა 17 დასახელების 4075 ტონა ხილი და ბოსტნეული, რამაც კეთილსმყოფელი გავლენა მოახდინა საბაზრო ფასებზე.

ქალაქიც არ რჩება სოფელს ვალში: წყალტუბოს მაღლაკის საბჭოთა მეურნეობას მოთხოვნისთანავე, რიგგარეშე და ფასდაკლებით მიჰყიდა საკუთარი წარმოების „კაზ“-ის მარკის ავტომანქანა, კახეთის მევენახეობის მეურნეობებს დახმარება გაუწია შაბიამნის მიწოდებაში და ა. შ.

სოფელს მუშახელი აკლია, ქალაქს — სოფლის პროდუქცია. დანაკლისის შევსება რომ გარკვეულწილად მაინც მოხდეს, თანამშრომლობა იმასაც ითვალისწინებს, სოფელმა ქალაქს დამუშავებისათვის გადასცეს მიწის ფართობები, ეჭარნი — ფერმები, სასათბურე მეურნეობები. უკვე გადაწყვეტილია, მაგალითად, რომ წყალტუბოს ზონის სოფელ ფარცხანაყანების მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა 10-10 ჰექტარი მიწის ნაკვეთებს გამოუყოფს ქუთაისის ავტოსატრანსპორტო და ტერიტორიულ-სამეურნეოთაშორისო გაერთიანებების, № 4 ავტოსატრანსპორტო საწარმოს კოლექტივებს; მალე გადაწყდება „სამტრესტის“ ღვინის ქარხნის მშრომელებისათვის აბაშის რაიონის სოფელ მარანში არსებული მსხვილფეხა რქსასები პირუტყვისა და მეღორეობის ფერმის იჯარით გადაცემის საკითხი; ტრიკოტაჟის ფაბრიკა „მოლაპარაკებას აწარმოებს სოფელ ქვიტირის მეღორეობის ფერმის შესყიდვაზე; ავტოქარხნელები შეიძენენ სოფელ ეწერის 1,5 ჰექტარზე განლაგებულ სასათბურე მეურნეობას. გათვალისწინებულია კიდევ სხვა, მრავალი ასეთი მიზნობრივი ღონისძიების განხორციელება.

ქუთაისის ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობს და აღწევს კიდეც, ყოველნაირი დახმარება გაუწიოს რესპუბლიკის სასოფლო რაიონებს ტექნიკით თუ ქალაქის ინტელექტუალური ძალების სხვა საშუალებებით, რომ რაიონებსაც არ შეუნელდეთ ქალაქის პრობლემებისადმი ინტერესი და დახმარების სურვილი.

„ხელი ხელს ჰბანს და ორივე ერთად პირსო“, ნათქვამია, თანამშრომლობის, პარტნიორობის ეს გზა მხოლოდ მისასალმებელია. და დავსძენთ იმასაც, რომ რესპუბლიკის მთავრობისაგან მხარდაჭერილია ქუთაისის ქალაქო საბჭოს მიერ დაყენებული საკითხიც — წყალტუბოს ზონა იქცეს ამ ქალაქის საბაზო რაიონად.

ვაჟა თევდორაძე,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

გაზი რაჭაში მივიდა

ამბროლაური რაჭის პირველი დასახლებული პუნქტია, რომელიც ბუნებრივი გაზი მიიღო. უახლოეს ხანს აქ დაიწყება გამანაწილებელი ქსელების მშენებლობა, რომლებიც სათბობს მიაწვდიან რაჭის სოფლებს.

— ბაყვანილია ფერეოლა-ამბროლაურ-ურავის დაახლოებით 50-კილომეტრიანი მაგისტრალური გაზსადენი, — თქვა „საქგაზის“ რესპუბლიკური კონცერნის თავმჯდომარემ ბახვა ლობჟანიძემ. — ეს ძნელი კილომეტრები იყო. მუშაობა შიმდინარეობდა ხან დაჯაოებულ ადგილებში, ხან ბოგბში, აძულებული გავხდით გადაგველაა რაჭის ქედი, კერძოდ, საწალეკეს მთა. ალაგ-ალაგ სიმაღლე, რომელზეც სამუშაოები წარმოებდა, 1700 მეტრს აღწევდა. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ მათ დაფინანსების ახორციელებს გაერთიანება საქსამთოქმმრეწვა“. საქმე ის არის, რომ სოფელ ურავის მახლობლად მდებარეობს დარიშანის სამადო, აქვეა მისი მოპოვებისა და გადამუშავების წარმოება. სათბობი აქ ქუთაისიდან ჩამოაქვთ, რაც მაღალი მთის პირობებში საკმაოდ ჯირს, განსაკუთრებით ზამთრობით, როცა გზები პრაქტიკულად გადაკეტილია. ამიტომ ბუნებრივი გაზის მიყვანა ადგილობრივ მცხოვრებლებს დიეხმარება გადაწყვეტონ მთელი რიგი საწარმოო, საყოფაცხოვრებო, ეკოლოგიური ხასიათის საკითხები. საწარმოო პროცესების ინტენსიფიკაცია მოხდება, სახლებში მივა ცხელი წყალი და სითბო, შეწყდება ტყის ჩეხვა.

— მაგისტრალის აგება ჯერ კიდევ 1986 წელს დაიწყო... ძალიან დიდხანს ხომ არ წარმოებდა თუნდაც მაღალი მთის პირობებში?

— ეფიქრობ, რომ არა. თავად განსაჯეთ. მთაში მძლავრი ტექნიკა რომ არ აგვეყვანა და ზიანი არ მიგვეყენებინა ბუნებისათვის, ვერტმფრინავების დახმარებას მივმართეთ. ასეთი ხერხით გავიყვანეთ 10 კილომეტრი მილსადენი. იყო მეწყერებიც, რომლებიც სერიოზულად აფერხებდნენ სამუშაოთა მიმდინარეობას. ზოგჯერ ტრასას ღვარცოფები კეტავდნენ.

**— ვიცი, რომ თქვენ

ПРОЕКТИ

ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის კანონი

ადგილობრივი თვითმმართველობა განუყოფელი ნაწილია სახალხო დემოკრატიის საფუძველზე განხორციელებული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და მოწოდებულია განავითაროს ავტონომიური ოლქის, რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის, დასახლებისა და სოფლის მოსახლეობის დინამიკურ ინტერესები, შესაძლებლობები და უფლებები თავისი საქმიანობის საგარეო-მორგო პრობლემების, პოლიტიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტაში.

საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის კანონი მოწოდებულია შეუფამოს ერთმანეთს საქართველოს მოქალაქის პიროვნული, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და სრულიად საქართველოს ინტერესები, უზრუნველყოს რესპუბლიკის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის განვითარება, მისი ეკონომიკური ძლიერება ადგილობრივი მეურნეობრივი თავისუფლების, ინიციატივისა და სოციალურ-ეკონომიკური ზრდის სახელმწიფოებრივი რეგულირების სისტემის შეთანწყობის საფუძველზე.

მოცემული კანონი არ ცვლის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანებისა და ორგანიზაციების სტატუსს, მოქმედ საკანონმდებლო აქტებს საწარმოების, შრომითი კოლექტივების, დაწესებულებების უფლებამოსილებისა და მოქალაქეთა უფლება-მოვალეობების შესახებ.

I. ადგილობრივი თვითმმართველობის ცნება, სისტემა და პრინციპები

მუხლი 1. ადგილობრივი თვითმმართველობის ცნება

ადგილობრივი (ტერიტორიული) თვითმმართველობა საქართველოს რესპუბლიკაში არის მოქალაქეთა თვითორგანიზაცია (განხორციელებული უშუალოდ ან მათ მიერ არჩეული ორგანოების მეშვეობით ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხის გადასაწყვეტად მოსახლეობის ინტერესებიდან და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების თავისებურებებიდან გამომდინარე.

მუხლი 2. ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა

მოსახლეობა ადგილობრივ თვითმმართველობას ახორციელებს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, საზოგადოებრივი ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოების (მიკრორაიონის, საცხოვრებელი კომპლექსის, სახლის, ჭიშის, უბნის, სადგომი, სასოფლო, სათემო საბჭოებისა, კომიტეტებისა და სხვ.), ადგილობრივი რეფერენდუმების, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით კრებების, მოქალაქეთა ყრილობებისა და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების გამოყენებით.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ფუნქციონირებენ შრომითის კოლექტივებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მოძრაობებთან, მოქალაქეთა თვითმოქმედ გაერთიანებებთან და ფორმირებებთან მჭიდრო თანამშრომლებით, ქმნიან პირობებს, რათა საქართველოს ყოველმა მოქალაქემ განახორციელოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში მონაწილეობის კონსტიტუციური უფლება.

მუხლი 3. ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპები

1. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების საფუძვლად უძევს შემდეგი პრინციპები:

— ხალხის ნების გამოხატვა და მისი შესრულების უზრუნველყოფა სახალხო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს; — სახალხო დეპუტატთა საბჭოს ან ადგილობრივი რეფერენდუმის მეშვეობით;

— კანონიერება;

— ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა ორგანოს არჩევითობა, აგრეთვე სახელმწიფოებრივი მართვის ადგილობრივი ორგანოებისა და თანამდებობის პირების სავალდებულო ანგარიშვალდებულება მოსახლეობის წინაშე;

— სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა ორგანოების სრული დამოუკიდებლობა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში, მათი უფლებამოსილების ფარგლებში, საკუთარი პასუხისმგებლობით მიღებულ გადაწყვეტილებათა ზემდგომ ორგანოებში წინასწარი შეთანხმებისა და დამტკიცების გარეშე;

— ადგილობრივი და ეროვნული ინტერესების შეხამება;

— სრული საჯაროობა.

2. შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქენი ირჩევენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, საქართველოს რესპუბლიკის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონთა შესაბამისად იღებენ გადაწყვეტილებებს მათი დაშლის შესახებ.

3. საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის, მისი ერთიანობის განმტკიცება, რესპუბლიკის სულიერი და მატერიალური სიმდიდრის განუხრელი ზრდის უზრუნველყოფა ადგილობრივი თვითმმართველობის უზენაესი პრინციპია.

4. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებით, თუ ეს გათვალისწინებულია მათი წესდებით (დებულებით).

მუხლი 4. ადგილობრივი თვითმმართველობის და ადგილობრივი მეურნეობის კანონმდებლობა

1. ადგილობრივ თვითმმართველობას საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე არეგულირებენ ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები, მოცემული კანონი, საქართველოსა და ავტონომიური რესპუბლიკების სხვა კანონები.

2. საქართველოსა და ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველობის კანონთა მოქმედება ვრცელდება აგრეთვე მონოფუნქციურ დასახლებებზე (სამხედრო ქალაქების ტერიტორიები, დახურული ტიპის დასახლებანი).

II. ადგილობრივი თვითმმართველობის საფუძვლები

მუხლი 5. ტერიტორიული საფუძველი

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიულ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკაში დღეისათვის ჩამოყალიბებული შემდეგი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დასახლებითი ერთეულები: სოფელი, სასოფლო დასახლებული პუნქტი, დაბა, ქალაქის რაიონი, ქალაქი, რაიონი და ავტონომიური ოლქი.

2. ადგილობრივი საზოგადოებრივი თვითმმართველობის პირველად ტერიტორიულ უჯრედებს წარმოადგენს საცხოვრებელი სახლი, საცხოვრებელი კომპლექსი, მიკრორაიონი, ჭიში, უბანი და სასოფლო დასახლებული პუნქტი.

მუხლი 6. ეკონომიკური საფუძველი

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენს ბუნებრივი რესურსები (მიწა, წიაღი, წყალი, ტყე, საჰაერო სივრცე), ადგილობრივი მეურნეობა, ქონება, ფინანსური სახსრები და მატერიალური ფასეულობანი, მოცემულ ტერიტორიაზე სამეურნეო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების საკუთრება, აგრეთვე აქ მცხოვრებ მოქალაქეთა საკუთრება.

2. საქართველოსა და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და თანამდებობის პირების სავალდებულო ანგარიშვალდებულება მოსახლეობის წინაშე;

— ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის მოწესრიგებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს, დამოუკიდებელნი არიან ადგილობრივი მნიშვნელობის ნებისმიერი პრობლემის რეგულირების ორგანიზაციული ფორმებისა და მეთოდების შერჩევასა და ამოქმედებაში, თუ ეს არ ლახავს საერთო-რესპუბლიკურ ინტერესებს.

4. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები ქმნიან თავიანთ ორგანოებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დამოუკიდებლად ადგენენ მართვის ორგანოების სტრუქტურასა და შტატებს. სახალხო დეპუტატთა აღმასრულებელი ორგანოები ექვემდებარებიან მხოლოდ მათს შემქმნელ საბჭოებს და თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ საქართველოს კონსტიტუციითა და შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციებით.

5. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლიათ ადგილობრივი მეურნეობაში შემავალ საწარმოებს (გაერთიანებებს), ორგანიზაციებს და დაწესებულებებს მიანიჭონ უპირატესობა ადგილობრივი რესურსებით სარგებლობასა და ადგილობრივი ფონდების განაწილებაში.

6. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს შეუძლიათ თავიანთი უფლებამოსილებათა ნაწილი გადასცენ საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოებს და თვითონაც იკისრონ ამ უკანასკნელთაგან გადმოცემული უფლებამოსილებანი.

მომიჯნავე და სხვა ტერიტორიების მოსახლეობის ინტერესებთან დაკავშირებულ საკითხებს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოები ერთობლივი მოქმედებით წყვეტენ.

მუხლი 8. საზოგადოებრივი ტერიტორიული თვითმმართველობის დანიშნულება და როლი ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემაში

1. საზოგადოებრივი ტერიტორიული თვითმმართველობა მოწოდებულია შეაფასოს და გაამდიდროს ადგილობრივი თვითმმართველობა, მაქსიმალურად გამოიყენოს არსებული შესაძლებლობები ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში სახზოგადოებრივ გაერთიანებებში შემავალ მოქალაქეთა მონაწილეობით, მათი ინტერესებისა და მისწრაფებების სრული გათვალისწინებით.

2. საზოგადოებრივი ტერიტორიული თვითმმართველობა ხორციელდება შესაბამისი ორგანოების მეშვეობით, რომლებიც შეიძლება წარმოდგენილი იყვნენ სახლის, ჭიშის, საცხოვრებელი კომპლექსის, მიკრორაიონის, უბნის, სადაბო, სასოფლო, სოფლის დასახლებული პუნქტის კომიტეტების, მეროსაბჭოების, სხვადასხვა მიზნობრივი მოძრაობების, კომისიების, კავშირების, ასოციაციების, გაერთიანებების, ფონდებისა და სხვათა სახით.

3. საზოგადოებრივი ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოებში ასარჩევ კანდიდატებს ასახელებენ და მათ ირჩევენ მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის საერთო (ან წარმომადგენელთა) კრებაზე, სადაც გადაწყვეტი ხმის უფლება აქვთ 18 წელს მიღწეულ მოქალაქეებს.

4. საზოგადოებრივი ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა ხორციელდება სახალხო დეპუტატების შესაბამისი ადგილობრივი საბჭოების მიერ რეგისტრირებული მათი წესდების (დებულების) შესაბამისად.

ამ წესდებაში (დებულებაში) მოცემული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად საზოგადოებრივი ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ მიმართულებებსა და სფეროებს:

— მათს კომპეტენციაში შემავალი ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების განხილვა და გადაწყვეტა;

— მოცემული ტერიტორიის მოსახლეობის ინტერესებთან დაკავშირებული ნებისმიერი ობიექტის (საწარმო, ორგანიზაცია, უწყება და სხვ.) საქმიანობის საზოგადოებრივი კონტროლი ეკონომიკური პირობები, დაკმაყოფილოს ადგილობრივი მოსახლეობის უპირველესი მოთხოვნილებანი სოციალურ-კულტურულ და საწარმო სფეროებში.

2. ადგილობრივი მოსახლეობა, ხელისუფლებისა და თვითმმართველობის ორგანოები ვალდებულნი არიან მუდმივად უზრუნველყოფდნენ ადგილობრივი დანიშნულების სოციალური და საეკონომიკო ობიექტების ეფექტიან ფუნქციონირებას, მათ განახლება-კვლავწარმოებას.

ადგილობრივი მეურნეობის ორგანიზაციის ნებისმიერ დონეზე დაუშვებელია საკუთრების, რომელიმე ფორმის დაწინება ან განვითარების დამუხრუჭება, უნდა შეიქმნას თანაბარი ეკონომიკური პირობები კანონმდებლობით ნებადართული საკუთრების ყველა ფორმის სამეურნეო თავისუფლებისა და განვითარებისათვის.

3. ყველა დონის (ოლქი, ქალაქი, რაიონი, სოფელი და სხვა) ადგილობრივ მეურნეობას ქმნიან საწარმოები (გაერთიანებები), ორგანიზაციები, დაწესებულებები, საზოგადოებრივი ტერიტორიული თვითმმართველობითი ფორმირებები და სხვანი, რომელთა ქონება, სახსრები და ფასეულობანი ძირითადად ყალიბდება მოცემულ ტერიტორიაზე და რომელთა საქმიანობის საბოლოო შედეგებს (პროდუქცია, მომსახურება, სამუშაოები და სხვა) უმეტესწილად ადგილობრივი მოსახლეობა მოიხმარს.

მუხლი 11. კომუნალური საკუთრება

1. კომუნალური საკუთრება შეადგენს ადგილობრივი მეურნეობის უშუალო საფუძველს, რომელსაც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობის სახელით განკარგავენ და მართავენ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოები და მათ მიერ უფლებამოსილი ორგანოები.

2. კომუნალურ საკუთრებას განეკუთვნება საქართველოსა და ავტონომიური რესპუბლიკების, სხვა სუბიექტების მიერ უსასყიდლოდ გადაცემული ქონება, აგრეთვე ქონება, რომელსაც სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები ქმნიან ან იძენენ მათი კუთვნილი სახსრების ხარჯზე.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს უფლება აქვთ შეიტანონ წინადადება შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტ ო რ ი ო ს ერთეულების კომუნალურ საკუთრებაში საწარმოების (გაერთიანებების), ორგანიზაციების, დაწესებულებების, საზოგადოებრივი ტერიტორიული თვითმმართველობითი ფორმირებები და სხვანი, რომელთა ქონება, სახსრები და ფასეულობანი ძირითადად ყალიბდება მოცემულ ტერიტორიაზე და რომელთა საქმიანობის საბოლოო შედეგებს (პროდუქცია, მომსახურება, სამუშაოები და სხვა) უმეტესწილად ადგილობრივი მოსახლეობა მოიხმარს.

მუხლი 11. კომუნალური საკუთრება

1. კომუნალური საკუთრება შეადგენს ადგილობრივი მეურნეობის უშუალო საფუძველს, რომელსაც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობის სახელით განკარგავენ და მართავენ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოები და მათ მიერ უფლებამოსილი ორგანოები.

2. კომუნალურ საკუთრებას განეკუთვნება საქართველოსა და ავტონომიური რესპუბლიკების, სხვა სუბიექტების მიერ უსასყიდლოდ გადაცემული ქონება, აგრეთვე ქონება, რომელსაც სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები ქმნიან ან იძენენ მათი კუთვნილი სახსრების ხარჯზე.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს უფლება აქვთ შეიტანონ წინადადება შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტ ო რ ი ო ს ერთეულების კომუნალურ საკუთრებაში საწარმოების (გაერთიანებების), ორგანიზაციების, დაწესებულებების, მათი ფორმირება და ლიკვიდაცია ხდება ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის მიერ მოცემული კანონის მე-10 მუხლით განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილების ან დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში მე-3 მუხლში ჩამოთვლილი პრინციპების გათვალისწინებით.

2. ადგილობრივი მეურნეობის შემადგენლობაში საკავშირო თუ რესპუბლიკური დაქვემდებარების ობიექტების შესვლის შესახებ გადაწყვეტილებას ღებულობს ადგილობრივი სახალხო დეპუტატთა საბჭოს შესაბამისი აღმასკომი საქართველოს მინისტრთა საბჭოს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თანხმობით, შესაბამისი კოლექტივის აზრის გათვალისწინებით.

3. ადგილობრივი მეურნეობის სისტემაში საზოგადოებრივი ტერიტორიული თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოს თანხმობითა და ინიციატივით და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს შესაბამისი აღმასკომის გადაწყვეტილებით შეიძლება შევიდეს ამ საზოგადოებრივი ტერიტორიული თვითმმართველობის საკუთრებაში შემავალი ობიექტები.

4. ადგილობრივი მეურნეობის სისტემაში შემავალი ობიექტების ლიკვიდაცია მოცემული კანონის მე-3 და მე-10 მუხლში აღნიშნული მოთხოვნების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში ხორციელდება შემდეგი წესით:

თუ სათანადო შესწავლის შემდეგ დადგენილია, რომ

ა) მოცემული ობიექტის საქმიანობა ეწინააღმდეგება რესპუბლიკის ინტერესებს, მაშინ საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სხვის, მაინ ბუდმივმქმედი კომისიებისა თუ კომიტეტების ან ადგილობრივი თვითმმართველობის რომელიმე ორგანოს წარდგინებით მისი ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას ღებულობს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს სესია ამ წარდგინებიდან არაუგვიანეს სამი თვისა;

ბ) მოცემული ობიექტის საქმიანობა არ ითვალისწინებს საქვეუწყები ტერიტორიის მოსახლეობის მოთხოვნილებებს დაკმაყოფილებას ან უპირატესად ემსახურება სხვა ინტერესებს, მაშინ ადგილობრივი მოსახლეობის, ადგილობრივი თვითმმართველობის ნებისმიერი ორგანოს თუ სხვათა წარდგინებით სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს სესია ღებულობს გადაწყვეტილებას ამ ობიექტის ლიკვიდაციის ან ადგილობრივი მეურნეობის სისტემიდან მისი გასვლის შესახებ, ამ წარდგინებიდან არაუგვიანეს სამი თვისა.

5. ადგილობრივი მეურნეობის სისტემაში შემავალი ობიექტის ამავე სისტემაში დარჩენით სხვა მფლობელისადმი მიყიდვის ან იჯარით გადაცემის საკითხებს წყვეტს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს შესაბამისი აღმასკომი.

იმ შემთხვევაში, როდესაც ობიექტი მიეყიდება ან იჯარით გადაეცემა სხვა სამეურნეო სისტემაში, გადაწყვეტილებას ყიდვა-გაყიდვის ან საიჯაროდ მიცემის შესახებ ღებულობს შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭოს სესია საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით.

V. ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური საფუძველი

მუხლი 14. ფინანსური რესურსები

ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური რესურსები ყალიბდება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო და ბიუჯეტის გარეშე სახსრების, საზოგადოებრივი ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოების სახსრების, საწარმოების, დაწესებულებების, კოოპერატივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მოსახლეობისაგან მოზიდული სახსრების, კრედიტების, აგრეთვე სხვა წყაროების ხარჯზე.

მუხლი 15. ადგილობრივი ბიუჯეტი

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭო, ადგილობრივი თვითმმართველობის ინტერესებიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად ამუშავებს და ამტკიცებს თავის ბიუჯეტს ზემდგომი ორგანოს მიერ დამტკიცებული შემოსავლის განმსაზღვრელი სტანდარტი გრძელვადიანი ნორმატივების საფუძველზე — ბიუჯეტის პროექტის ღია განხილვის შემდეგ.

სხვადასხვა დონის სახალხო დეპუტატთა საბჭოების ბიუჯეტები ერთმანეთის მიმართ დამოუკიდებელია. ადგილობრივი საბჭოს მიერ ბიუჯეტის შემუშავებისა და დამტკიცების პროცესში ზემდგომი ორგანოების ჩარევა დაუშვებელია.

ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებია და ხარჯების გამოყენანა საქალაქო, რაიონული, სოფლისა და დაბის ბიუჯეტებს შორის განსაზღვრავს სახალხო დეპუტატთა ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭო უზრუნველყოფს ბიუჯეტის დაბალანსებულ შესრულებას და ეწევა ხარჯებს მიღებული შემოსავლის ფარგლებში. ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლის დანაკარგების კომპენსაცია არ ხდება ზემდგომი დონის ბიუჯეტებიდან იმ ხარჯების გარდა, რაც დაკავშირებულია სტიქიური უბედურებებით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციასთან.

ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების დროს დამატებით მიღებული შემოსავალი, აგრეთვე გასავალზე შემოსავლის გადამეტების თანხა, რომელიც შემოსავლის გადაჭარბებით შესრულების ან ხარჯების ეკონომიის შედეგად იქმნება, რჩება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს განკარგულებაში, არ ექვემდებარება ჩამორთმევას და გამოიყენება მათი შეხედულებისამებრ.

მუხლი 16. ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავალი

ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლში ჩაირიცხება:

1. ადგილობრივი დაქვემდებარების შესაბამის საწარმოთა და ორგანიზაციათა მოგებისა და რესურსების (შრომითი, მიწის, წყლისა და სხვა ბუნებრივი რესურსების) გადასახადები. მიწის გადასახადი შეიძლება ნაწილობრივ ცენტრალიზებულ იქნეს საქართველოსა და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებში;

2. ზემდგომი დაქვემდებარების შესაბამისი საწარმოებისა და ორგანიზაციების მოგების გადასახადიდან ანარიცხები სტაბილური გრძელვადიანი ნორმატივებით;

3. ადგილობრივი საბჭოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საშემოსავლო გადასახადი მთლიანი ოღენრნთი აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება ნაწილობრივ ცენტრალიზებულ იქნეს საქართველოსა და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებში;

4. სატყეო შემოსავალი, საშემოსავლო ადასახადი კოლმეურნეობებიდან, სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, სატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა გადასახადი, სახელმწიფო ბაჟი, ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან შემოსავალი, შენობის მფლობელთა და მიწის გადასახადი, სხვა ადგილობრივი გადასახადები;

5. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების განკარგულებაში არსებული ქონების რეალიზაციისა და იჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსულობანი;

6. მოსაკრებლები და სხვადასხვა არასავალდებულო შემოსავლები დადგენილი წესის შესაბამისად, სხვა შემოსავლები საქართველოსა და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობათა შესაბამისად;

7. ანარიცხები შესაბამის ტერიტორიაზე მიღებული ბრუნვის გადასახადიდან, 1982 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების რეალიზაციიდან;

8. ერთობლივი საწარმოების ბიუჯეტში გადასახადები მათში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების წილის გათვალისწინებით;

9. მოცემულ ტერიტორიაზე მიზნობრივი პროგრამებისა და ღონისძიებების დასაფინანსებლად საქართველოს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან დოტაციის ან სუბვენციის სახით გადმოცემული სახსრები;

10. სახელმწიფო და ბანკის სესხის მიღება, აგრეთვე გაცემული სესხის დაბრუნება.

საწარმოთა გადასახადები შეიტანება ადგილობრივ ბიუჯეტში საწარმოების, მათი ფილიალების, სხვა სტრუქტურული ერთეულებისა და ქვეგანყოფილების ადგილმდებარეობის მიხედვით. იმ საწარმოთა მოგების ანარიცხები, რომელებსაც მოცემულ ტერიტორიაზე ფილიალები აქვთ, ჩაირიცხება ბიუჯეტში სტანდარტი გრძელვადიანი ნორმატივებით მათი მუშაკების წილის პროპორციულად საწარმოში დასაქმებულთა საერთო რიცხვთან შედარებით.

საჭირეობის შემთხვევაში სახალხო დეპუტატთა რამდენიმე საბჭო სხვა პარტნიორებთან ერთად დადგენილი წესით ნებაყოფლობით საწყისებზე ერთიანდებს (ფინანსურ რესურსებს ერთიანი სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის განსახორციელებლად და მათი კომპეტენციის ყველა სფეროში ერთობლივი ღონისძიებების განსატარებლად.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს უფლება აქვს დაფუძნოს ადგილობრივი გადასახადები და ბაჟი, გამოუშვას ადგილობრივი სესხები, რომელთა შესყიდვა განხორციელდება ნებაყოფლობის საფუძველზე, ჩაატაროს ფულისა და ნივთების, აგრეთვე სხვა ადგილობრივი ლატარიები და აუქციონები.

მუხლი 17. ადგილობრივი ბიუჯეტის გასავალი

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭო დამოუკიდებლად გამოიყენებს ბიუჯეტის სახსრებს:

1. იმ ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომლებსაც ახორციელებენ ადგილობრივი დაქვემდებარების დაწესებულებები და ორგანიზაციები განათლების, მეცნიერების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ფიზიკური კულტურის და სოციალურ-კულტურული ცხოვრების სხვა დარგში;

2. ადგილობრივი მეურნეობის სისტემის საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების, მათ შორის ეკოლოგიური ღონისძიებების დასაფინანსებლად;

3. სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების შესანახად.

4. სახალხო დეპუტატთა ქვემდგომი ადგილობრივი საბჭოებისათვის სამიუჯეტო სესხის, მიზნობრივი სუბვენციის გამოსაყოფად;

5. ბანკის კრედიტისა და სახელმწიფო ვალის, ზემდგომი ბიუჯეტიდან მიღებული სესხის დასაფარავად, აგრეთვე სხვა ღონისძიებებისათვის, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებას.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს ხელშეკრულების საფუძველზე შეუძლია საკუთარი რესურსების ხარჯზე დაფინანსოს და წაახალისოს ადგილობრივი მეურნეობის შემადგენლობის ფარგლებს გარეთ მყოფი საწარმოთა მიერ იმ ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც დაკავშირებულია სასურსათო და არასასურსათო საქონლის წარმოების, მოსახლეობის მომსახურების ზრდასთან, სოციალური და საწარმოო ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობასთან და რეკონსტრუქციასთან.

ადგილობრივი ბიუჯეტის შემადგენლობაში იქმნება სარეზერვო ფონდები. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ ამ ფონდების ოდენობასა და მათი გამოყენების მიმართულებებს.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოს უფლება აქვს შესაბამისი ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე:

— დაუწესოს შეღავათები და გაუწიოს მატერიალური დახმარება ნაკლებად უზრუნველყოფილ და მრავალშვილიან ოჯახებს, ხანდაზმულ პირებს, ინვალიდებს, სტიქიური ან სხვა უბედურების შედეგად დაზარალებულ მოქალაქეებს;

— გაზარდოს, დადგენილ ნორმებთან შედარებით, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებათა შენახვის ხარჯები;

— დაუდგინოს ცალკეული კატეგორიისა და ჯგუფის გადამხდელებს შეღავათები მოსახლეობის იმ გადასახადებზე, რომლებიც ადგილობრივ ბიუჯეტში ირიცხება;

— დააწესოს სამმართველო აპარატის შენახვის ხარჯების ოდენობა, ამ აპარატის, აგრეთვე სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის, სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებების მუშაკთა თანამდებობრივი სარგოებისა და სატარიფო განაკვეთების დანამატები.

მუხლი 18. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს ბიუჯეტგარეშე ფინანსური რესურსები

1. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოს შეუძლია შექმნას ბიუჯეტგარეშე ფონდები, რომლებშიც შედის:

— დამატებითი შემოსავალი დაზღვიდან ფინანსური რესურსები, რომლებიც მიღებულია ადგილობრივი საბჭოს მიერ ორგანიზებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრის ღონისძიებათა განხორციელების გზით;

— მოქალაქეთა და ორგანიზაციათა წევნაყოფლობითი შენატანები და შეწირულობანი, ადგილობრივი საბჭოს ინიციატივით ჩატარებული შაბათობიდან მიღებული შემოსავლები, მოსახლეობის თვითდაბეგვრის სახსრები;

— ადგილობრივი სესხებისა და ადგილობრივი ფულისა და ნივთების ლატარიების, აუქციონების შედეგად მიღებული შემოსავალი;

— საწარმოების, ორგანიზაციების ნებაყოფლობით საფუძველზე მიზიდული სახსრები;

— პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) ფასების (ტარიფების) მომატების შედეგად საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ დაუსაბუთებელი მოგების (შემოსავლის) მიღებისათვის გადახდევინებული ჯარიმები;

— ჯარიმები გარემოს გაჭუჭყიანებისა და ბუნებრივი რესურსების არარაციონალურად გამოყენების და ბუნების დაცვის კანონმდებლობის სხვა დარღვევებისათვის, აგრეთვე გადასახადები, რომლებიც მიყენებულ ზარალს ანაზღაურებენ; ამ ჯარიმებისა და გადასახდელების თანხები ხმარდება ბუნების დაცვისა და გაჯანსაღების ღონისძიებათა განხორციელებას;

— ჯარიმები, რომლებსაც სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭო, მისი ორგანოები აკისრებენ ადგილობრივი საბჭოს ტერიტორიაზე ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის;

— სხვა ბიუჯეტგარეშე სახსრები.

2. ბიუჯეტგარეშე ფონდების სახსრები ინახება ბანკის დაწესებულებებში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე. ამ სახსრების ჩამორთმევა არ შეიძლება და გამოიყენება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს შეხედულებისამებრ.

3. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოს შრომითი კოლექტივების თანხმობით შეუძლია გააერთიანოს საწარმოთა, ორგანიზაციათა, მოქალაქეთა, აგრეთვე ბიუჯეტისა და ბიუჯეტგარეშე სახსრები — წილობრივ საწყისებზე სოციალური და საწარმოო ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობისთვის, მათი გაფართოების, რემონტისა და შენახვისთვის.

მუხლი 19. საზოგადოებრივი ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოების ფინანსური სახსრები

1. საზოგადოებრივი ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოების ფინანსური სახსრები იქმნება საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, კოოპერატივების, მოსახლეობის ნებაყოფლობითი შენატანებისა და შეწირულობების, აგრეთვე მათ მიერ შექმნილი საწარმოების შემოსავლის, კრედიტების, განხორციელებული ღონისძიებებიდან შემოსავლის ხარჯზე.

2. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოს თავისი ფინანსური სახსრების ნაწილი შეუძლია გადასცეს საზოგადოებრივი ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოებს გარკვეული მიზნობრივი დანიშნულებით.

(დასასრული მე-3 გვ.).

III. ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმები და ორგანოები

მუხლი 7. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის მთავარი რგოლი

1. ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის მთავარ რგოლს წარმოადგენს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები. ისინი, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოები, მათდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე აერთიანებენ და კოორდინაციას უწევენ ადგილობრივი თვითმმართველობის მთელი სისტემის ჩაქმიანობასა და ადგილობრივი მეურნეობის ფუნქციონირებას, კანონმდებლობის მესაბამისად ხელმძღვანელობენ სახელმწიფოებრივ, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ განვითარებას, არეგულირებენ საბაზრო ურთიერთობებს, აწესრიგებენ ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და კეთილწარმოების პროცესებს, პასუხისმგებელნი არიან გარემოს შენარჩუნებისა და გაუმჯობესების უზრუნველყოფისათვის, ახორციელებენ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა კანონიერი ინტერეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის კანონი

(დასასრული)

3. საზოგადოებრივი ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოები დამოუკიდებლად იყენებენ მათს განკარგულებაში არსებულ ფინანსურ სახსრებს. თავიანთი საქმიანობის მიზნების შესაბამისად, ისინი უფლებამოსილი არიან ბანკის დაწესებულებებში გახსნან ანგარიშები ფულადი ოპერაციებისათვის.

მუხლი 20. კრედიტი, ფულის ემისია და ფასები

1. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოს, ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა ორგანოებს უფლება აქვთ:

— მონაწილეობდნენ თავიანთი სახსრებით საალეთო და საპაიო საფუძველზე საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებათა შექმნასა და მათ საქმიანობაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

— შექმნან და გადასცენ ბანკს ნებისმიერ დაწესებულებას მიზნობრივი ფონდები ტერიტორიული ამოცანების გადასაწყვეტად მიზნობრივი პროგრამებისა და ღონისძიებების დაკრედიტების რესურსების სახით.

2. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები ადგენენ ტერიტორიულ კრებსით საფინანსო ბალანსებს. შესაბამისი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, საწარმოები (გაერთიანებები), ორგანიზაციები და დაწესებულებები სახალხო დეპუტატთა საბჭოს, მის აღმასრულებელ და განმკარგულებელ ორგანოებს წარუდგენენ ამ ბალანსების შესადგენად საჭირო მონაცემებს.

3. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭო განიხილავს და ამტკიცებს მოსახლეობის ფულადი შემოსავლისა და გასავლის ბალანსებს და საკასო გეგმებს, ხელს უწყობს მის ტერიტორიაზე ფულის მიმოქცევის დაჩქარებას.

4. ბანკისა და საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობის სისტემა უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებებს.

5. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები ატარებენ ფასების სახელმწიფო პოლიტიკას, არეგულირებენ საბაზრო ურთიერთობების პირობებში ფასების მოძრაობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ამტკიცებენ კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების ტარიფებს.

მუხლი 21. საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობანი

1. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოს უფლება აქვს:

— ითავოს საზღვარგარეთელ პარტნიორებთან ხელშეკრულებათა დადება პროდუქციის რეალიზაციისა და შეძენისათვის არსებული საგალუტო სახსრების ხარჯზე ან სხვა საფუძველზე;

— შექმნას ერთობლივი საწარმოები, მონაწილეობა მიიღოს საზღვარგარეთელ პარტნიორებთან ერთობლივი სამეცნიერო, კულტურული და ტურისტული ცენტრების, ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის სხვა ორგანიზაციების შექმნაში, რაც განაპირობებს სოციალური და საწარმოო სფეროების უზრუნველყოფას თანამედროვე მოწყობილობით, საბინაო-კომუნალური, საქალაქო მეურნეობის, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების აღჭურვას მექანიზაციის საშუალებებით, მათი მატერიალური ბაზის განვითარებას;

— შექმნას საგალუტო ფონდი დადგენილი სტაბილური გრძელვადიანი ნორმატივების მიხედვით საწარმოების, ტურისტული ცენტრებისა და კოოპერატივების საგალუტო ამონაგების, აგრეთვე პროდუქციის რეალიზაციის ანარიცხების ხარჯზე;

— მოაწყოს საზღვრისპირა და სანაპირო ვაჭრობა.

2. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილ თავისუფალ მეწარმეობის ზონებში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოს აქვს სხვა უფლებამოსილებანიც საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის სფეროში.

VI. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებანი სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში

მუხლი 22. ადგილობრივი მეურნეობის ტერიტორიულ-მეურნეობათაშორისი მართვის პრინციპები და ორგანიზაციის საფუძვლები

1. ადგილობრივი მეურნეობის სისტემაში შემავალი საწარმოების (გაერთიანებების), ორგანიზაციების, დაწესებულებების მრავალპროფილიანობა განაპირობებს ადგილობრივი საბჭოების მხრიდან მათი საქმიანობისადმი ერთიანი ხელმძღვანელობის აუცილებლობას. ამ მიზნით შეიძლება შეიქმნას შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების ტერიტორიული და მეურნეობათაშორისი (დარგთაშორისი) გაერთიანებები, რომლებიც წარმოადგენენ ტერიტორიულ-მეურნეობათაშორის კომპლექსს.

2. ადგილობრივი მეურნეობის ტერიტორიული და ტერიტორიათაშორისო, დარგობრივი და დარგთაშორისი მართვის ორგანოების ორგანიზაციის, მათი სტრუქტურისა და შტატების საკითხებს წყვეტენ შესაბამისი სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები ადგილობრივ მეურნეობაში შემავალი საკუთრების შესაბამის სუბიექტებთან შეთანხმებით.

3. ტერიტორიულ-მეურნეობათაშორისი გაერთიანება იქმნება დადგენილი წესით სახალხო დეპუტატთა საბჭოს შესაბამისად აღმასკომის გადაწყვეტილებითა და რესპუბლიკის მთავრობის თანხმობით. ტერიტორიულ-მეურნეობათაშორისი გაერთიანება წარმოადგენს იურიდიულ პირს, ახორციელებს თავის საქმიანობას თვითმმართველობის, სრული საშეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპებით, აგრეთვე შესაბამისი აღმასკომებისაგან დელეგირებული განმკარგულებელი ფუნქციების შესაბამისად.

4. ტერიტორიულ-მეურნეობათაშორისი მართვის სისტემა არ არის შეზღუდული მხოლოდ ტერიტორიულ-მეურნეობათაშორისი გაერთიანებების ორგანიზაციით. ამ სისტემაში შეიძლება შევიდეს სხვადასხვა საწარმოო, სამომხმარებლო და მომსახურების ობიექტები, კორპორაცია და სხვა, რომლებიც იქმნება და ფუნქციონირებს მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ყოველ მოცემულ შემთხვევაში ტერიტორიულ-მეურნეობათაშორისი მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბება ხდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებით ადგილობრივი პრერეგატივისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.

5. მოთხოვნები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს ტერიტორიულ-სამეურნეობათაშორისო და ტერიტორიულ/ დარგთაშორისი მართვის ორგანოების ჩამოყალიბება და ფუნქციონირება ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის სისტემის ფარგლებში, შემდეგია:

— საქმეუწყობა ტერიტორიის კომპლექსური სოციალური და ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა;

— ბუნებრივი, მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების რაციონალური, ეფექტიანი გამოყენება, სამომხმარებლო ბაზრის (განსაკუთრებით ადგილობრივი ბაზრის) მოთხოვნების დაკმაყოფილება შესაბამისი მოცულობისა და ასორტიმენტის საქონლითა და მომსახურეობით;

— ყოველგვარი ნებადართული სამეწარმეო საქმიანობის (წარმოება, მომსახურება, სამეშაოები და სხვა) მაღალი ეფექტიანობის, ადგილობრივი ბიუჯეტისა და ბიუჯეტგარეშე შემოსავლების რაციონალური გამოყენების მიღწევა ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისა და მთლიანად რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების მიზნით;

— სამეურნეო საქმიანობის წარმართვა მსოფლიოს საუკეთესო სტანდარტების დონეზე, ამისათვის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურება (პირდაპირი კავშირები, ერთობლივი საწარმოები) საგალუტო შემოსავლების მიღებისა და გამოყენების შესაძლებლობათა გასაფართოებლად.

მუხლი 23. ტერიტორიის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაგეგმვა.

1. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები დამოუკიდებლად შეიმუშავებენ და ამტკიცებენ ქვემდებარე ტერიტორიის სოციალური და ეკონომიკური განვითარების კომპლექსურ გეგმებს, რომლებიც აუცილებლად მოიცავენ:

— კრებსით საფინანსო გეგმას (ბალანსი), სადაც განისაზღვრება დასახული ამოცანების გადასაწყვეტად საჭირო ფინანსური რესურსები, მათი წყაროები და გამოყენების მიმართულებები;

— მთლიანად ადგილობრივი მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას ადგილობრივი საბჭოს მიერ დამტკიცებული პარამეტრების მიხედვით;

— ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების განვითარების ძირითად მაჩვენებლებს საქართველოს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების მიერ დამტკიცებული პარამეტრების მიხედვით.

გეგმების შემუშავების წესი და პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

2. შესაბამის ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსების გამოყენების საწარმოო და არასაწარმოო სფეროების ობიექტების შექმნის ან მათი რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების არც ერთი საკითხის გადაწყვეტა არ შეიძლება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოსთან შეუთანხმებლად.

აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში ადგილობრივ საბჭოებს უფლება აქვთ მიიღონ გადაწყვეტილება წარმოების შეჩერების შესახებ.

3. ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის დროს დაუშვებელია ადგილობრივი მეურნეობის ობიექტების, ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, საკუთრების კოლექტიური (ჯგუფური) და ინდივიდუალური ფორმებისადმი კანონმდებლობით მინიჭებული სამეურნეო უფლებებისა და თავისუფლებების ყოველგვარი შეზღუდვა, მბრძანებლობა შრომითი კოლექტივის მიერ საბოლოო შედეგების მიღწევის გზების არჩევაში.

4. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები სადაბო და სასოფლო საბჭოების, ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა ორგანოების მონაწილეობით იხილავენ სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოების წინადადებებს საწარმოთა მშენებლობის, გაფართოების, რეკონსტრუქციისა და ტექნიკური გადაიარაღების შესახებ, განსაზღვრავენ მხარეთა ურთიერთვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას და წარუდგენენ მას ავტონომიური რესპუბლიკების, საქართველოს მინისტრთა საბჭოს, სამშენებლო ინდუსტრიის ადგილობრივი მრეწველობის, აგროსამრეწველო კომპლექსის, საყოფაცხოვრებო, სავაჭრო, სატრანსპორტო, კულტურული და სხვა ობიექტების, აგრეთვე ადგილობრივი სამშენებლო მასალების მწარმოებელი საწარმოების მშენებლობის, გაფართოების, რეკონსტრუქციისა და ტექნიკური გადაიარაღების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებენ აღნიშნული საბჭოები.

მუხლი 24. სოციალური სფეროს მართვა

1. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები:

— უზრუნველყოფენ აღზრდის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, საბინაო-კომუნალური და სოციალური სფეროს სხვა დაწესებულებების მაღალეფექტიან ფუნქციონირებას.

— კოორდინაციას უწევენ და აკონტროლებენ ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოთა საქმიანობას სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მოსახლეობის ფასიანი მომსახურების გაწევის სფეროში. ამ მიზნით მაქსიმალურად იყენებენ ტერიტორიის რესურსებს; ორგანიზაციას უკეთებენ ადგილობრივ ბაზარზე შემოსული კვების პროდუქტების, სახალხო მოხმარების საქონლის, სამშენებლო მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების ექსპერტიზას, საჭირო შემთხვევაში აჩერებენ მათ რეალიზაციას.

2. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს უფლება ეძლევათ:

— დატოვონ, თავიანთ განკარგულებაში შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს მიერ გამოშვებული სახალხო მოხმარების საქონლის ყოველწლიური მატების 50 პროცენტამდე;

— დაიცვან მომხმარებელთა ინტერესები, ხელი შეუწყონ იმ საწარმოებისა და კოოპერატივების შექმნას, რომლებიც უზრუნველყოფენ ადგილობრივ ბაზარზე საქონლისა და მომსახურების დეფიციტის აღმოფხვრას;

— ორგანიზაცია გაუწიონ ისტორიის, არქიტექტურის, კულტურისა და ბუნების ძეგლების დაცვასა და კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნებით მათ რაციონალურ გამოყენებას, დაიცვან ეროვნული ტრადიციები და წესჩვეულებები.

3. სოციალური სფეროს მართვის პროცესში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინონ მოსახლეობის, საზოგადოებრივი ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოების, სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებების აზრი (წინადადებები).

4. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები აწესებენ საგაჭრო, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო და სატრანსპორტო მომსახურების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის, საბავშვო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ მოსახლეობის მომსახურების ხელსაყრელ რეჟიმს.

5. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს უფლება აქვთ მათ განკარგულებაში არსებული ფინანსური სახსრების ხარჯზე გაანაზღაურებელ სოციალური ინფრასტრუქტურის დარგების (განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, კულტურა, კომუნალური და სხვა მომსახურება) კვალიფიციურ მუშაკთა შრომის დამატებითი ანაზღაურება, გაუწიონ მატერიალური და ფინანსური დახმარება (შეღავათები, სარგოები, ფულადი, ნატურალური მისაცემლები და სხვა) პენსიონერებსა და შრომისუუნაროებს სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვით. ამ მიმართულებით ადგილობრივი საბჭოები ვალდებული არიან გაითვალისწინონ საზოგადოებრივი (საქველმოქმედო) ორგანიზაციებისა და მოსახლეობის აზრი (წარდგინებები).

6. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები საბაზრო ურთიერთობების პირობებში დამოუკიდებლად ახორციელებენ მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებით ღონისძიებებს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებით (საგადასახადო შეღავათები, დახმარებები, სუბსიდიები და სხვა).

მუხლი 25. კაპიტალური მშენებლობის მართვა

1. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები:

— ხელმძღვანელობენ ტერიტორიის განაშენიანების, დასახლებული პუნქტებისა და საგარეუბნო ზონის კომპლექსური განვითარების საქმეს, დაქვემდებარებულ სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციებს, ადგილობრივი სამშენებლო მასალების მრეწველობის საწარმოებს, ამტკიცებენ ან ათანხმებენ დადგენილი წესით რაიონული დაგეგმარების გენერალურ გეგმებსა და დეტალური დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტებსა და სქემებს;

— როგორც წესი, ასრულებენ ერთიანი დამკვეთის ფუნქციებს, გამოყოფენ ქალაქმშენებლობის კომპლექსების, სამრეწველო კვანძების, საცხოვრებელი სახლების, ბუნებადაცვითი ობიექტების, აგრეთვე სოციალური და საწარმოო ინფრასტრუქტურისა და სხვა ობიექტების მეთაურ მენაშენეს;

— დამოუკიდებლად განსაზღვრავენ ადგილობრივი მეურნეობის სისტემაში შემავალი ობიექტების ჩამონათვალს, რომლებიც საჭიროებენ მშენებლობასა და რეკონსტრუქციას. ამ ობიექტების მიხედვით (ნებისმიერი სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით) ამტკიცებენ მშენებლობის პროექტებს, მშენებლობისა და საპროექტო-საძიებო სამუშაოების სატატულო სიებს, ადგილობრივ საბჭოსთან სავალდებულოა შეთანხმდეს ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმო-დაწესებულების ახალი მშენებლობისა და რეკონსტრუქცია-გაფართოების პროექტი, მიუხედავად მათი უწყებრივი კუთვნილებისა;

— მოსახლეობისა და შრომითი კოლექტივების აზრის გათვალისწინებით წყვეტენ სოციალური სფეროს დარგების ობიექტების მშენებლობის პრიორიტეტის საკითხებს.

2. ცენტრალიზებული სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებები არასაწარმოო მშენებლობაზე სოციალური სფეროს ქვედარგების (განათლება, კულტურა, ჯანდაცვა, ფიზკულტურა და სპორტი, საბინაო-კომუნალური და მომსახურების სხვა სფეროები) განაწილების ოდენობისა და მიმართულებების განსაზღვრის გარეშე ერთიანად გადაეცემა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმე ეხება ახალი რაიონების ათვისებასა და მსხვილი საწარმოო კომპლექსების მშენებლობას. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები აღნიშნულ სახსრებს სოციალური სფეროს ქვედარგებს შორის ანაწილებენ დამოუკიდებლად საკუთარი შეხედულებით, მოსახლეობისა და შრომითი კოლექტივების აზრის გათვალისწინებით.

3. ავტონომიური ოლქის, ქალაქისა და რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს უფლება აქვთ შექმნან ტერიტორიული საპროექტო-სამრეწველო-სამშენებლო, საპროექტო-სამშენებლო გაერთიანებები საბინაო-სამოქალაქო ობიექტების მშენებლობაში, შეკეთებასა და კეთილმოწყობას, ითანხმებენ სოფლის დასახლებული პუნქტების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტებს, აჩერებენ მშენებლობას, თუ იგი ხორციელდება განაშენიანების გეგმის დარღვევით, მონაწილეობენ საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების ობიექტების რეკონსტრუქციისა და ტექნიკური გადაიარაღების სამუშაოთა შესასრულებლად საწარმოთა ზილობრივი მონაწილეობის საფუძველზე.

4. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს უფლება აქვთ გააერთიანონ შრომითი კოლექტივების თანხმობით შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციების (მათი უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად) სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდების სახსრები, აგრეთვე ადგილობრივი საბჭოების სახსრები წილობრივ საწყისებზე საცხოვრებელი სახლების, სამედიცინო და სკოლამდელი დაწესებულებების, დასასვენებელი ბაზების, საბავშვო ბანაკებისა და არასაწარმოო დანიშნულების სხვა ობიექტების ასაშენებლად.

5. სახალხო დეპუტატთა სადაბო და სასოფლო საბჭოები ხელმძღვანელობენ მათდამი დაქვემდებარებულ სარემონტო-სამშენებლო ქვედანაყოფებს, ორგანიზაციას უწევენ საბინაო-სამოქალაქო ობიექტების მშენებლობას, შეკეთებასა და კეთილმოწყობას, ითანხმებენ სოფლის დასახლებული პუნქტების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტებს, აჩერებენ მშენებლობას, თუ იგი ხორციელდება განაშენიანების გეგმის დარღვევით, მონაწილეობენ საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების ყველა დამთავრებული ობიექტის მიღებაში.

მუხლი 26. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და საქონელგაცვლა ტერიტორიებს შორის

1. ავტონომიური ოლქის, რაიონისა და ქალაქის სახალხო დეპუტატთა საბჭო:

— მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ტერიტორიულ ორგანოებთან ერთად შეიმუშავებს საბჭოს ტერიტორიაზე მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ოპერატიულ-სავაჭრო ბაზრის ფორმირებისა და განვითარების სქემას.

— ორგანიზაციას უწევს ადგილობრივი მეურნეობის საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას, სანედლეულო რესურსებისა და საქონლის ტერიტორიათაშორის და შიგატერიტორიულ გაცვლას, სახელშეკრულებო საწყისებზე იყენებს შიგატერიტორიულო კოოპერაციის შედეგად წარმოებულ პროდუქციას, მათ შორის იმ პროდუქციასა და რესურსებს, რომელიც წარმოებულია სახელმწიფო შეკვეთის ზეგით ან მიღებულია გაწეული ეკონომიის შედეგად;

— ადგილობრივი მეურნეობის საწარმოების მომარაგებისა და მათი პროდუქციის გასაღების მიზნით ქმნის ტერიტორიულ სამეურნეოთაშორისო გაერთიანებებსა და ბაზებს;

— ხელს უწყობს საფირმო და საბითუმო ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარებას, ბაზრობებისა და აუქციონებს, საწარმოთა შორის პირდაპირი კავშირების ორგანიზაციას;

— ქმნის მოწყობილობის, მანქანებისა და სხვა ტექნიკის სარემონტო, პროფილაქტიკური მომსახურებისა და გაქირავების საწარმოებს, აგრეთვე საწარმოებს, რომლებიც პროდუქციას აწარმოებენ ინდივიდუალური შეკვეთებით;

— უზრუნველყოფს სადაბო და სასოფლო საბჭოების გეგმებისა და ბიუჯეტების (გარანტირებულ მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგების.

2. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები კოორდინაციას უწევენ საწარმოთა საქმიანობას, ბიუჯდაავად მათი უწყებრივი კუთვნილებისა, რესურსების მომჭირნეობით ხარჯვის, ნედლეულისა და მეორადი რესურსების რაციონალური და კომპლექსური გამოყენების საქმეს.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა იმ პროდუქციით, რომლის რეალიზაცია ხდება პირდაპირი ულიმიტო დაკვეთებით, ხორციელდება მათ მიერ დამოუკიდებლად, სამთითუმო ვაჭრობის წესით, ხოლო ცენტრალიზებულად განაწილებელი რესურსებით, ლიმიტებისა და ფონდებით უზრუნველყოფას აგვარებს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭო.

4. ტერიტორიებს შორის საქონელგაცვლა ხორციელდება ტერიტორიული ბაზრების კარგახსნილობის პირობებში. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები ვერ დაუწესებენ შეზღუდვას შესაბამისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ პროდუქციისა და საქონლის გატანა-შემოტანას. რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლების გარეთ პროდუქციისა და საქონლის გატანის პირობებს განსაზღვრავს საქართველოს მინისტრთა საბჭო.

მუხლი 27. დემოგრაფიული პროცესებისა და შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების რეგულირება

1. ავტონომიური ოლქის, ქალაქისა და რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოები თავიანთ ტერიტორიაზე ახორციელებენ ეროვნულ დემოგრაფიულ პოლიტიკას, მკვიდრ ეროვნებათა დემოგრაფიული პროცესების მართვას მოსახლეობის გამრავლებს გარე და შიგატერიტორიული მიგრაციისა და განსახლების რაციონალიზაციის უზრუნველსაყოფად.

2. სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოები:

— ხელმძღვანელობენ შრომითი მოწყობის ორგანოებს, ქმნიან აუცილებელ პირობებს მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში ჩასაბმელად, თითოეული შრომისუნარიანი პირის მოთხოვნებისა და სახალხო მეურნეობის ინტერესების გათვალისწინებით;

— ორგანიზაციას უწევენ შრომითი მოწყობის სისტემის შექმნისა და ეფექტიანი ფუნქციონირების, კადრების გადამზადებისა და ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის სამუშაოს, კოორდინაციას უწევენ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაობას ამ მიმართულებით, აკონტროლებენ პროფესიულ-ტექნიკური და სპეციალური მომზადების დაწესებულებების საქმიანობას, სათავეში უდგანან მოსწავლე ახალგაზრდობისა და სხვა პირთა სახალხო მეურნეობაში დასაქმებას, რომლებიც სიმინელეებს განიცდიან შრომითი მოწყობის საქმეში;

— ხელს უწყობენ მოსახლეობის კოოპერატივებში, პირად დამხმარე მეურნეობებში, ოჯახურ და გლეხურ მეურნეობებში, საოჯახო კოლექტივებში ჩაბმას, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განვითარებას;

— შესაბამის ორგანოებში შეაქვთ წინადადებები შრომით რესურსებზე გადასახდელების დადგენილი თანხების დიფერენციაციის შესახებ.

მუხლი 28. ბუნების დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება

1. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები:

— ხელმძღვანელობენ დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებასთან დაკავშირებულ ყოველგვარ საქმიანობას და შესაბამის საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად პასუხს აგებენ ეკოლოგიურ შედეგებზე;

— საერთო-სახალხო ინტერესებიდან გამომდინარე თავიანთ ტერიტორიაზე ახორციელებენ სახელმწიფოებრივ მართვასა და სახელმწიფოებრივ კონტროლს ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების სფეროში, ღებულობენ ზომებს ბუნების დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად;

— უზრუნველყოფენ მიწისა და ბუნებრივი რესურსის ეფექტიან გამოყენებას; გასცემენ და ართმევენ მიწის ნაკვეთებს, იძლევიან მათ არენდით, წყვეტენ მიწასთან დაკავშირებულ სადავო საკითხებს, იძლევიან დასკვნას სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის განსხვისების შესახებ; კონტროლს უწევენ მიწით მოსარგებლეთა მიერ ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებას, ქარისა და წყლის ეროზიის, დამლაშებისა და დაჭაობების, აგრეთვე ნიადაგის მდგომარეობის გაუარესების სხვა პროცესების თავიდან აცილების ღონისძიების უცილობელ შესრულებას;

— ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა ორგანოებთან ერთად ეწევიან მუშაობას წყლის რესურსების, ადგილობრივი სამშენებლო მასალების სამადოენის, რეკრეაციული ზონების ეფექტიანად გამოყენების მიზნით;

— ამუშავებენ და ახორციელებენ ბუნების დაცვის ტერიტორიულ პროგრამებსა და სქემებს, მართვის სახელმწიფო ორგანოების მონაწილეობით ახორციელებენ ბუნების დაცვის ობიექტების მშენებლობასა და რეკონსტრუქციას;

— ქმნიან გარემოს დაცვისა და რაციონალური ბუნებათსარგებლობის არასამეურეტო მიზნობრივ ფონდებს;

— ახორციელებენ დამოუკიდებელ ეკოლოგიურ ექსპერტიზას, მათ შორის იმ ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზას, რომლებიც ექვემდებარებიან მშენებლობას, რეკონსტრუქციასა და ტექნიკურ გადაიარაღებას;

— სისტემატურად აცნობენ მოსახლეობას გარემოს მდგომარეობას და მის გასაჯანსაღებლად განხორციელებულ ღონისძიებებს.

2. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს უფლება აქვთ შეაჩერონ იმ ობიექტების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და ტექნიკური გადაიარაღება, აგრეთვე პროდუქციის წარმოება ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის უქონლობის ან უარყოფითი დასკვნის არსებობისას, აგრეთვე ბუნების დაცვის კანონმდებლობათა დარღვევისას.

მუხლი 29. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ურთიერთობა სახელმწიფო და სამეურნეო მართვის ორგანოებთან

1. იმ შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფო და სამეურნეო მართვის ორგანო მიიღებს გადაწყვეტილებას, რომელიც არ შეესაბამება მის კომპეტენციას, არღვევს არსებულ კანონმდებლობას ან ზიანს აყენებს ადგილობრივ ინტერესებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოს შეუძლია შეაჩეროს თავის ტერიტორიაზე მისი ძალაში შესვლა.

2. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭო ვალდებულია ქვემდებარე ტერიტორიაზე ხელი შეუწყოს სახელმწიფო და სამეურნეო მართვის ორგანოებს არსებული კანონმდებლობითა და შესაბამისი დებულებებით (წესდებით) მათთვის დაკისრებული ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულებაში.

3. ტერიტორიის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სხვა სამეურნეო პრობლემების გადაჭრის მიზნით სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოსა და სახელმწიფო და სამეურნეო მართვის ორგანოებს შორის შეიძლება დაიდოს ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მხარეთა ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას.

მუხლი 30. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სამეურნეო ურთიერთობანი იმ საწარმოებთან და ორგანიზაციებთან, რომლებიც არ შედიან ადგილობრივი მეურნეობის შემადგენლობაში

1. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ტერიტორიის კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე ამყარებენ ურთიერთხელსაყრელ სამეურნეო ურთიერთობას იმ საწარმოებთან, რომლებიც არ შედიან ადგილობრივი მეურნეობის შემადგენლობაში.

ადგილობრივ საბჭოებს ენიჭებათ უპირატესობა დადონ ხელშეკრულება მათ ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებთან სახალხო მოხმარების საქონლის, საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის ფასიანი მომსახურებაზე მათთვის დაწესებული შესაბამისი ნორმატივების ფარგლებში.

— ხელს უწყობენ მოსახლეობის კოოპერატივებში, პირად დამხმარე მეურნეობებში, ოჯახურ და გლეხურ მეურნეობებში, საოჯახო კოლექტივებში ჩაბმას, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განვითარებას;

— შესაბამის ორგანოებში შეაქვთ წინადადებები შრომით რესურსებზე გადასახდელების დადგენილი თანხების დიფერენციაციის შესახებ.

მუხლი 28. ბუნების დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება

1. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები:

— ხელმძღვანელობენ დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებასთან დაკავშირებულ ყოველგვარ საქმიანობას და შესაბამის საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად პასუხს აგებენ ეკოლოგიურ შედეგებზე;

— საერთო-სახალხო ინტერესებიდან გამომდინარე თავიანთ ტერიტორიაზე ახორციელებენ სახელმწიფოებრივ მართვასა და სახელმწიფოებრივ კონტროლს ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების სფეროში, ღებულობენ ზომებს ბუნების დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად;

— უზრუნველყოფენ მიწისა და ბუნებრივი რესურსის ეფექტიან გამოყენებას; გასცემენ და ართმევენ მიწის ნაკვეთებს, იძლევიან მათ არენდით, წყვეტენ მიწასთან დაკავშირებულ სადავო საკითხებს, იძლევიან დასკვნას სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის განსხვისების შესახებ; კონტროლს უწევენ მიწით მოსარგებლეთა მიერ ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებას, ქარისა და წყლის ეროზიის, დამლაშებისა და დაჭაობების, აგრეთვე ნიადაგის მდგომარეობის გაუარესების სხვა პროცესების თავიდან აცილების ღონისძიების უცილობელ შესრულებას;

— ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა ორგანოებთან ერთად ეწევიან მუშაობას წყლის რესურსების, ადგილობრივი სამშენებლო მასალების სამადოენის, რეკრეაციული ზონების ეფექტიანად გამოყენების მიზნით;

— ამუშავებენ და ახორციელებენ ბუნების დაცვის ტერიტორიულ პროგრამებსა და სქემებს, მართვის სახელმწიფო ორგანოების მონაწილეობით ახორციელებენ ბუნების დაცვის ობიექტების მშენებლობასა და რეკონსტრუქციას;

— ქმნიან გარემოს დაცვისა და რაციონალური ბუნებათსარგებლობის არასამეურეტო მიზნობრივ ფონდებს;

— ახორციელებენ დამოუკიდებელ ეკოლოგიურ ექსპერტიზას, მათ შორის იმ ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზას, რომლებიც ექვემდებარებიან მშენებლობას, რეკ

ინთეგა რამპის ჩიტალღნეები

დროის მხარდამხარ

მორიგი სეზონი გახსნა თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა. სეზონის წინ გვესაუბრება თეატრის მთავარი რეჟისორი გოგი ჩაკვეტაძე:

— ცოტა რამ უნდა ითქვას განვლილ სეზონზე, იგი, ჩემი აზრით, წარმატებული და მრავალმხრივ საყურადღებო აღმოჩნდა. სპექტაკლი „ნახვის დღე“ რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიით აღინიშნა. გამარჯვებულები გამოვედით ასევე საქართველოს სახელმწიფო თეატრების მესამე რესპუბლიკური ფესტივალზე. ამას მივუმატოთ გასტროლები გერმანიის ქალაქ ბიბერახში, და ნათელი გახდება, რომ შემოქმედებითი კოლექტივი სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობს.

როგორც შარშან, წელსაც რეპერტუარში გვაქვს ქართველი მწერლების და დრამატურგების თამაზ ჭილაძის, რევაზ ინანიშვილის, რევაზ მიშველაძის, ალექსი კოტეტიშვილის პიესები, რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს უარს ვამბობდეთ უცხოელ ავტორებზე. თეატრის აფიშაზეა ედუარდო დე ფილიპო. ახალ სეზონში მაყურებელი იხილავს ჟან ანუის, აზიზ ნესინის პიესებზე შექმნილ სპექტაკლებს. მაყურებელს ძალზე მოეწონა განვლილი სეზონის პრემიერა, ოთარ ჩხეიძის „ვისია, ვისია“.

თეატრში კარგა ხანია ვმუშაობთ ალექსი კოტეტიშვილის პიესაზე „იოსები და ძმანი მისნი“, რომელიც ბიბლიურ თემაზეა აგებული და მოყვასის სიყვარულს ქადაგებს. სპექტაკლში მთელი შემოქმედებითი კოლექტივი იქნება ჩაბმული და ერთგვარად თეატრის მრწამსს გამოხატავს.

დიდი ხანია ვოცნებობ ოთარ ჭილაძის რომანის „ყოველმან ჩემმან მპოველმან“ და გაბრიელ მარკესის „მარტოობის ასი წელის“ სცენურ განხორციელებაზე.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ უკვე მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა გვაკავშირებს ბიბერახის თეატრთან, მის შემოქმედ ინტელიგენციასთან. უცხოეთთან ურთიერთობა კვლავაც გაფართოვდება. ოქტომბრის შუა რიცხვებში ჩვენთან ჩამოვა საფრანგეთის ქალაქ ბლუას დასი. პერსპექტივაშია ავრეთვე მადრიდის ერთ-ერთ ახალგაზრდულ თეატრთან გაცვლითი ურთიერთობის გამყარება.

რა თქმა უნდა, ჩვენი წარმატება-წარუმატებლობა მაინც ალ, თელავის სცენაზე, ქართველ მაყურებელთან ურთიერთობისას წყდება, ამიტომ საჭიროა მუდმივი ძიება და შემოქმედებითი ზრდა, დროის მხარდამხარ მიყოლა. არადა, საფიქრალს და საზრუნავს რა გამოლევს — იქნება ეს სადადგმო საშუალების ნაკლებობა თუ დასის შევსების საკითხი. თეატრს ჰყავს ძლიერი საშუალო თაობა, იგივე ითქმის ხანდაზმულებზეც. აი, ნიჭიერი ახალგაზრდები კი ნამდვილად გვაკლია. ყველა თუ არა, ალბად დაკავებულთა უმეტესობა თბილისის თეატრებში დაჩენას ამჯობინებს, თუმცა ნათელია, რომ დედაქალაქის ისედაც გადატვირთულ დასებში მათი შემოქმედებითი ზრდა მეტად სათუოა. ახალგაზრდა მსახიობი მუდმივ დატვირთვას, წვრთნას საჭიროებს, ამიტომ მნიშვნელოვნად შეცდომად მიმაჩნია, რომ ისინი არ მოდიან ჩვენთან, სხვა, ე. წ. პერიფერიულ თეატრებში, სადაც უფრო დოსტატების შესაძლებლობა.

უნდა ითქვას ისიც, რომ გაისად გაზაფხულზე თელავში დასრულდება მსახიობთათვის განკუთვნილი 30-ბინიანი სახლის მშენებლობა. ისე რომ, თეატრის კოლექტივი იმედებით სავსე ხვდება ახალ სეზონს, გვჯერა — მათ ასრულება უწერია.

ესაუბრა
ზურაბ არსენიშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

იშვიათი ხელოვნის ოსტატები

ერთგულება...

შვიდ ათეულ წელზე მეტია ერთგულად ემსახურება თავის საყვარელ საქმეს — ჩოხების კერვას სახალხო ოსტატი მიხეილ ფანჩულიძე. ეს ჭარმაგი მოხუცი სიამაყით გვიამბობს, რომ ამ ზნის მანძილზე მან დაახლოებით 10 ათასი ჩოხა შეკერა. — ხუმრობა საქმე როდია, ეს ჩვენი საამაყო ეროვნული სამოსი ისე შეკერო: რომ შენი ნახელავისა არ შეგრცხვეს, — ამბობს ბატონი მიხეილი. — ერთ რამეზე კი ნამდვილად მტკივა გული: ოთხი შეგირდი მყავდა და არც ერთმა არ გამიმართლა. რა ჯობია, როცა შენს შეკერილ ჩოხაში გამოწყობილ მომღერლებს და მოცეკვავეებს უცქერ... დამერწმუნეთ, ეს ყველა სიხარულზე მეტია...

ვინ იცის, მწოფლიოს რამდენ ქვეყანაში წაუღიათ პროფესიულ თუ თვითმოქმედ კოლექტივებს ბატონ მიხეილის ნახელავი! ქართული ხელოვნების პროპაგანდის საქმეში მასაც უდევს წილი: ეროვნული სამოსი ხომ ერის სულიერი კულტურის გამოხატულებაა.

— არ სჭირდება ქართულ ჩოხას შელამაზება და რაიმეს მიმატება. ამის გაკეთებას ახლა რატომღაც ცდილობენ თანამედროვე ოსტატები, — ამბობს ბატონი მიხეილი. — ქართული ჩოხის განუმეორებლობა და სილამაზე მის სისადავეშია. მე ახლაც ყურში ჩამესმის ჩემი ოსტატის ეს შეგონება და მთელი სიცოცხლე მისი ერთგული ვარ.

მალე 90 წლისა გახდება ბატონი მიხეილი, მაგრამ საყვარელ საქმეს წუთითაც არ ღალატობს. ისევ კერავს, ისევ ქმნის, ისევ დგას მშობლიური კულტურის სამსახურში. საქმეს კი რა დაულევს ოსტატს: ახლა იგი ბაზვშთა ანსამბლის ეროვნულ კოსტუმებს კერავს...

ცხოვრობს თბილისის ერთ-ერთ მყუდრო უბანში კეთილი და ტკბილმოუბარი მოხუცი, რომლისთვისაც არა არის რა იმაზე დიდი ბედნიერება, ვიდრე ის, რომ ვინმეს რაიმე არგოს, ვინმე გაახაროს და თვითონაც გაიხაროს თავისი ნახელავით — ქართული ჩოხით.

საუკუნეთა წიაღში დაგრეული საუნჯეს გაფრთხილება, შენახვა სჭირდება — ასე ფიქრობს მიხეილ ფანჩულიძე. მისი საქმიანობა ამ მიზნის ნათელი დასტურია.

მერი გაბრიაძე,
საქინფორმის კორესპონდენტი

• • •

სურათებზე: მიხეილ ფანჩულიძე დღესაც არ ღალატობს თავის საქმეს; ჩოხას უხდება ცეკვა...

ბონდო დვალიშვილისა და ავთანდილ მაჭავარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა.

ქეთევან დედოფალი

ქეთევან წამებული, ვინ არ იცის ეს სახელი საქართველოში. ბევრი როდი მოიძებნება ისეთი ისტორიული პიროვნება, რომელიც ერისა და სარწმუნოების კვარცხლბეკზე მიტანილი წვლილისათვის ეკლესიას წმინდანად შეერაცხოს.

ამ რჩეულთა შორისაა ქეთევან წამებული, კახეთის მეფის დავით პირველის მეუღლე.

1605 წელს, როცა დავითის ძმამ, კონსტანტინემ მეფე ალექსანდრე მეორე და გიორგი ბატონიშვილი დახოცა და თავად გამეფდა, ქეთევან დედოფალი სათავეში ჩაუდგა ანტიირანულ მოძრაობას, დაამარცხა კონსტანტინე.

შემდეგ იგი სამეფო საქმეებს განაგებდა თავისი ახალგაზრდა შვილის თეიმურაზ პირველის გამეფებისას.

შაგბნელ ძალებს არ ეძინათ და 1614 წელს თეიმურაზმა შაჰ-აბას პირველის მოთხოვნით სპარსეთში მძევლებად გაგზავნა შვილი ალექსანდრე და დედა ქეთევანი.

როცა ქეთევანმა უარი თქვა გამაპადიანებაზე, იგი საშინელი წამებით მოკლეს.

ასე დასრულდა ქეთევანის მიწიერი სიცოცხლე და დაიწყო უკვდავება — დიდი და ამაღლებული.

მისი ნეშტის ნაწილები ბერებმა გაიტანეს საქართველოში, ინდოეთში, რომსა და ბელგიაში...

მის თავგანწირვას მხატვრული ქმნილებანი უძღვნეს თეიმურაზ პირველმა, გრეგორიო ორსინიმ, პიეტრო დელა ვილემ, ა. გრიფიუსმა, მრავალმა სხვამ.

გერმანელი მწერალი ა. გრიფიუსი მას უწოდებს ქეთევან ქართველს ანუ გაუტეხელ სიმტკიცეს.

სწორედ გაუტეხელი მამულიშვილობისა და მორწმუნეობისათვის ინახავს წმინდად ქართველი ხალხი ტანჯული შვილის ხსოვნას, გამორჩეულად აღნიშნავს ქეთევან წამებულის მოსაგონარ დღეს.

ახალი გაზეთი „შალომ“—მშვიდობა

ქუთაისი. (საქინფორმის კორ. მაკა კილაძე). „შალომ“ — მშვიდობა — ასე ჰქვია სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ქუთაისის ორგანიზაციისა და საქველმოქმედო საზოგადოება „ქუთაისის“ ერთობლივ გაზეთს, რომლის პირველი ნომერი ახლახანს გამოვიდა.

თუ არ ჩავთვლით გაზეთ „ებრაელის ხმას“, რომელიც ისევე ქუთაისში, ოღონდ ქართველი ებრაელების ინიციატივით გამოდიოდა 1918 წელს, „შალომ“ ებრაელთათვის განკუთვნილი პირველი ბეჭდვითი ორგანოა.

გაზეთი იხსნება ქუთაისელ ებრაელთა თემის რაბინების საახალწლო მილოცვით ებრაელი ხალხისადმი. ნომერში დასტამბულია ქუთაისელ ებრაელთა ცხოვრებისა და საქმიანობის ამსახველი მასალები, ინფორმაციები ისრაელსა და საზღვარგარეთის მთელ რიგ ქვეყნებში მცხოვრებ თანამოძმეებზე. ვრცელი ადგილი აქვს დათმობილი ისტორიულ-მეცნიერებითი ხასიათის პუბლიკაციებს ისრაელის სახელმწიფოს წარსულისა და საქართველოს ებრაელთა ყოფის შესახებ.

მკითხველს უთუოდ დაინტერესებს ქუთაისის „კვიდრა“ დღეს ისრაელის აღიარებული მბეჭდავის და იქვე ტრაგიკულად ადრე ღუპული მაყვალა ფინჩულიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ქუთაისელი ებრაელისტის ნანული ცხვედიანის მოგონება, რომელსაც თან ახლავს უდროოდ დაღუპულ ხელოვანის ნამუშევართა ფოტოილუსტრაციები.

გაზეთი „შალომი“ თვეში ორჯერ გამოვა. იგი გაიყიდება „სიიუზეიჩტის“ ჯიხურებში. მსურველთ მასალები შეუძლიათ მიაწოდონ მისამართით — ქუთაისი 380001, გრიშაშვილის 6, „ოქროს ჩარდახი“.

დიპლომი — ქართველი მეცნიერის ნაშრომს

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ბონდო არველაძის ნაშრომს „ხაიათნოვა“ მიენიჭა საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ დიპლომი. საკავშირო კონკურსზე სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის დარგში იგი ერთერთ საუკეთესო ნაწარმოებად აღიარეს.

სომხური ლიტერატურის მკვლევარის ბონდო არველაძის შრომები დიდი პოპულარობით სარგებლობს არა მარტო სამეცნიერო წრეებში, არამედ ფართო მკითხველთა შორისაც. ერთ-ერთი ასეთი წიგნია „ხაიათნოვა“, რომელშიც მკვლევარმა სრულად და ფართოდ გააშუქა თბილისელი აშუღის, ძმობისა და მეგობრობის მეხოტბის ცხოვრება და შემოქმედება.

ნაშრომში გაანალიზებულია ხაიათნოვას პოეზია, მითითებულია მისი პირველი მკვლევრების დამსახურება, განხილულია ხაიათნოვას შემოქმედების ზოგიერთი თავისებურებანი.

ბონდო არველაძის ნაშრომი „ხაიათნოვა“ გამოსცა საქართველოს საზოგადოება „ცოდნამ“.

(საქინფორმი)

გაიხსნა ახალი ბაგა-ბაღი

თერჯოლის რაიონში სულ უფრო იზრდება და ფართოვდება სკოლამდელი ბავშვების დაწესებულებათა ქსელი, რომელთა რიცხვი 32-ს შეადგენს 2055 აღსაზრდელისთვის, აქედან ტიპობრივ შენობაშია მოთავსებული 19 საბავშვო ბაგა-ბაღი.

წლეულს ახალი სასწავლო წლიდან კიდევ ერდი ასეთი დაწესებულება შეემატა რაიონს. სოფელ ძევაში აშენდა, და საექსპლატაციოდ გადაეცა ახალი ორსართულიანი ბაგა-ბაღი 70 ბავშვისათვის.

წლის ბოლომდე გათვალისწინებულია კიდევ ერთი საბავშვო ბაღის გახსნა სოფელ ჩხარეულში 25 ბავშვისათვის.

ვანო კუტალაძე

სსრ კავშირის პროკურატურაში

ამჟამად ქალაქ მოსკოვის პროკურატურა იძიებს სისხლის სამართლის საქმეს ვ. ი. ნოეოდვორსკაიას მიმართ, რომელმაც არაერთგზის დასწამა ცილი და საჯაროდ შეურაცხყო სსრ კავშირის პრეზიდენტი, მათ შორის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოყენებით.

1990 წლის 20 სექტემბერს ვ. ი. ნოეოდვორსკაიას, ადვოკატის დასწრებით, წაუყენეს ბრალდება დანაშაულის ჩადენაში, რომელიც გათვალისწინებულია „სსრ კავშირის პრეზიდენტის პატივისა და ღირსების დაცვის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით და არჩეულია აღკვეთის ღონისძიება — ფეხმოუცველობის ხელწერილი.

ბრალდებულს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ობიექტური მონაცემების გათვალისწინებით კანონის მოთხოვნების [illegible] რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 188-[illegible] მუხლის ზუსტად შესაბამისად [illegible] პროკურორის სანქციით იგი [illegible] თავსებულია სამკურნალო დაწესებულებაში სტაციონარული [illegible] სამართლო-ფსიქიატრიული [illegible] პერტიზის გასავლელად, რომ[illegible] დამთავრების შემდეგ გადაწყვიტ[illegible]ბა მისი პასუხისმგებლობის [illegible]ითხი.

ხელმძღვანელობენ რა კანონი[illegible] ირკვევენ ზოგიერთ მასობრივ [illegible] ინფორმაციის საშუალებაში ნოე[illegible] დვორსკაიას მიერ დაშვებულ [illegible] ცილისმწამებლური განცხადებ[illegible]ების პუბლიკაციის გარემოებებ[illegible]

(საქინფორმი)

„სანთელი“: გულმოწყალების ნათელი

ზურაბ ბარამიძე, 27 წლის თბილისელი, მამასთან ერთად დადგმგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში მემფისის ნეიროქირურგიულ კლინიკაში სამკურნალოდ. სამი წლის წინათ მძიმედ დაშავებული ახალგაზრდა კაცის მგზავრობისა და ჯანმრთელობის აღდგენის მთელი ხარჯები იკისრა იმკამ (ქრისტიანი ახალგაზრდობისა და ოჯახის საერთაშორისო კავშირი) და რესპუბლიკურმა მაშველმა ცენტრმა „სანთელმა“. ეს არასამთავრობო ორგანიზაცია ჯერჯერობით არსებობს თბილისის ოქტომბრის რაიონის საწარმოთა შეწირულების ხარჯზე.

ქართველი ჭაბუკის სამკურნალოდ იმკასა და „სანთლის“ თანამშრომლობის ორგანიზაციისათვის ბევრი რამ გაკეთა ნიკოლას გონჩარო